ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 14 – 15 ივლისი, 2018

№165 (7710)

ფასი: 60 თეთრი

სანდრა რულოვსი თუ გრიგოლ ვაშაძე – ვის დაასახელებენ საპრეზიდენტო კანდიდატად ნაციონალები

გვ.4

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ადვოკატი: „რაიან სმიტი მკვლელებს იცნობდა, მათმა ხეობაში ნახვამ შეაშინა

მალხაზი იმიტომ არ მოკლეს, რომ ყველაფერი ამ ბავშვს დაბრალებოდა“

გვ.7

შს ლორა სმიტის გაუპატიურების ვერსიაზეც მუშაობს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ხადას ხეობაში მოკლული ლორა სმიტის გაუპატიურების ვერსიაზეც მუშაობს. გამოძიება ექსპერტიზის დასკვნის მოლოდინშია.

– გამოძიება გაუპატიურების ვერსიაზეც მუშაობს და ველოდებით ექსპერტიზის დასკვნას, – აცხადებენ შს სამინისტროში.

„კვირიკაშვილთან ერთად ბახტაძეც უნდა გაეშვათ“

გვ.2

გიგლა ბარამიძე: „ბოკერია ივანიშვილს დათმობაზე წასვლას მოსთხოვს“

გვ.3

„ოცნება“ ანაკლიის პორტის პროექტის გადახედვას აპირებს

ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატმა სააკაშვილთან ერთად სალობიეში ყოფნა აღიარა

გვ.4

„სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის მოქალაქე აღარ არის“

ავთანდილ დემეტრაშვილი: „არ გამიკვირდება, მას ხელისუფლებამ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი რომ დაუჭიროს“

სამართალი გვ.7

„კოკა კობალაძეს სახეზე დანა დაადეს და უთხრეს, თუ არ იტყოდა, თვალს ამოუგდებდნენ“

თბილისში, ელიას უბანში, 20 წლის ახალგაზრდა მოკლეს

ზესტაფონთან 3 ტრაილერი ხრამში გადავარდა

ეკონომიკა გვ.6

„ყაზტრანსგაზ-თბილისს“ შესაძლოა 40 მლნ აშშ დოლარის ვალი ახალი ინვესტორის სასარგებლოდ ჩამოაჭრან

მაია ცქიტიშვილი რომან გოცირიძეს: „ალტაკომის“ ჩაშლილი ტენდერიდან 25 მილიონი ევროს დაბრუნებას ვცდილობთ

ლევან დავითაშვილი: „არაკანონიერი ჭრის შედეგად ტყის სტრუქტურა უარესდება“



ISSN 1987-9385

5 2015-2018 წლებში კრიტიკული შეუსაბამობის გამო, საწარმოო პროცესი 969 ბიზნესოპერატორს შეუჩერდა

4 მირიან მირიანაშვილი: „ორ-სამ წელიწადში საქართველო ნატოს წევრი გახდება“

5 2018 წლის 1-ელი ნოემბრიდან ტაქსების უნებართვოდ საქმიანობა დასჯადი იქნება

6 შიდა ფრენებზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა არც ერთ კომპანიას არ მიუღია

შორენა მარსაგიშვილი

„კვირიკაშვილთან ერთად ბახტაძეც უნდა გაეშვათ“

გიგლა ბარამიძე: „ბოკერია ივანიშვილს დათმობაზე წასვლას მოსთხოვს“

ჩატომ ახსენა მაჩგვეღაშვილმა ნატოს სამიტზე ჯვიჩიჯაშვილი, ჩატომ გაუჩინაჩდა ყოფილი პჩემიეჩი, ჩამდენი ხანი გაქაჩავს მთავჩობის ახალი მეთაუჩი, ჩა შეთანხმება შედგა ბოჯეჩიასა და ნაციონალებს შოჩის? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბაჩამიძე ესაუბჩება.

„ყოფილ პრემიერსა და მის გუნდს წაღებულ ფულს უკან მოატანინებენ“

გიგლა ბარამიძე:

– ბოლო ორი-სამ კვირაში განვითარებულ მოვლენებს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ „ქართული ბოცნების“ (ბოკერიასთან ჩახუტების შემდეგ მმართველ პარტიას ყოველთვის ბოცნებად მოვიხსენიებ) ვირეშმაკობისა და პოლიტიკური სითახსირის ქრონიკა.

ქართული პროვინციული კოხტაპრუწობის კლასიკა ვიხილეთ ნატოს სამიტზეც.

ქართველი ჩინოსნები დაიჯგიმებოდნენ, მაგრამ კაცი ვერ გაიგებს, რა განაცხადებები გააკეთეს. სამაგიეროდ, ხომ წარმოაჩინეს თავი და ხალხს დააჯერეს, რომ საქმეს აკეთებენ. გვიმტკიცებენ, ნატოს კარი საქართველოსთვის მალე გაიღებაო. არადა, ეს ნატო პირდაპირ გვეუბნება, რომ თავის რიგებში არ მიგვიღებს.

ქართული პროვინციული კოხტაპრუწობის გამოვლინებას ჰქონდა ადგილი მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობის დროსაც. ჩემპიონატს ქართული არხიც გვიჩვენებს და კომენტატორმა, რომელსაც, სავარაუდოდ, ფეხბურთის არაფერი გაეგება, მოგვიწოდა – თუ რამე დათარსვა იცით, ყველა მეთოდი გამოიყენეთ რუსეთის ნაკრების წინააღმდეგო.

თქვე დალოცვილებო, თუ ასეთი მაგრები ხართ და ასე გძულთ რუსეთის ნაკრები, რატომ არ თქვით უარი იმ თამაშების ტრანსლაციაზე, სადაც რუსეთის ნაკრები თამაშობდა. ეს არ გააკეთეს იმიტომ, რომ ამით ფულს დაკარგავდნენ, ტოტალიზატორებიდან ვეღარ მიიღებდნენ თანხებს.

პროვინციული სითახსირის გამოვლინებაა, როდესაც სხვისი მოგებულით გვინდა ჩვენი პატრიოტიზმის გამყარება. მოუგო ხორვატიის ნაკრებმა რუსეთს და ატყდა ერთი ამბავი – დღეს ჩვენც ხორვატები ვართო. რუსეთის დამარცხება თუ გინდოდა, აქ არ გყავდა 2008 წელს? რად უნდა ამას ხორვატობა, თავად გებრძოლა.

რუსეთი გვძულსო, ამბობენ და რუსულ ფულზე არასდროს ამბობენ უარს. ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების 90%-ც მაგათ გადასცეს და ვის ეჭიდავებიან, ვერ გამიგია. იმ კაცს, რომელმაც ქვეყნიდან გაყვანილი რუსული ჯარი უკან შემოაბრუნა, ორი პალტოს გამო დასდევენ.

– ნატოს სამიტზე მყოფმა გიორგი მარგველაშვილმა მოულოდნელად გაიხსენა გიორგი კვირიკაშვილი, საჯაროდ დასვა კითხვა, სად გაქრა ყოფილი პრემიერიო. აქ გაჩნდა მოსაზრება, რომ კვირიკაშვილი ევროპელებმა მოიკითხეს. თქვენი აზრით, რას ემსახურებოდა პრეზიდენტის განცხადება?

– საერთოდ არ აინტერესებს მარგველაშვილს კვირიკაშვილი, მისი გვარი ისე ახსენა. გასაკვირი ისაა, რომ გაახსენდა, არ ეხსენებინა, ეს უფრო ბუნებრივი იქნებოდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება მთავრობის მეთაური, ერთი ჩომბე გაუშვეს და მის ადგილზე არსაიდან მოსული, გაჯგიმუდებდნენ. ჯერ კიდევ რამდენი თვის წინ გითხარით. რომ ის ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელის დახმარებით ცდილობდა პოზიციების გამყარებას.

– ახლა ამ ბანკირზე, მამუკა ხაზარაძეზე, როგორც ამბობენ, პროკურატურაში საქმეა აღძრული.

– არ გამიკვირდება, ასე რომ იყოს. ის კვირიკაშვილთან ასოცირდება. ყოფილი პრემიერი ანაკლიის პორტის, ხაზარაძისა და სხვა ბიზნესჯგუფების დახმარებით ცდილობდა პოლიტიკაში ფეხის მყარად მოკიდებას.

– რამდენიმე დღის წინ „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა დაზავდნენ. მათ შერიგებაზე რას ფიქრობთ, რატომ დაუტკბნენ ერთმანეთს?

– ისედაც ერთნი არ იყვნენ? მართალია, მელიებსა და ბოკერიებს ერთმანეთი ეზიზღებათ, მაგრამ, როცა საქმეს სჭირდება, ერთად დგებიან. ახლაც დასჭირდათ და შერიგდნენ.

ახლა მათი შერიგების მიზეზი ბიძინა ივანიშვილია. ბოკერია აქამდეც ევაჭრებოდა ივანიშვილს. ნაცებთან ერთად უფრო კარგად შეევაჭრება ბიძინას, ეტყვის, უფრო მეტი დამითმე, თორემ ნაციონალებთან ერთად ვიმოქმედებ. ან ნაციონალებზე როცა ვსაუბრობთ, რატომ ვთვლით მათ ცალკე, მთელი ხელისუფლება ნაციონალები არ არიან? მთელი ყოფილი ხელისუფლება ან „ბოცნებაშია“, ან – „ბოცნებასთან“ ერთად. სააკაშვილის გარდა, ივანიშვილმა ყველა მიიღო.

საქმეში ღრმად თუ ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ სააკაშვილი პირადი ურთიერთობების გამო მოიძულა და არა – პრინციპების. ნაციონალური მოძრაობა არსად წასულა. მალე მერაბიშვილიც გამოვა და აიწყობენ საქმეს.

– საქმის აწყობაში მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას გულისხმობთ?

– ისედაც ხელისუფლებაში არ არიან? გიგა ბოკერია მოგვიკლინეს სამართლიანობის აღმდგენად. დამნაშავე რეჟიმის მთავარი იდეოლოგი ახლა საგამოძიებო კომისიას უდგას სათავეში. თავისი განცხადებებით ბოკერიას მმართველი პარტიის სახე, ქართველი კობზონი, არჩილ თალაკვაძე, აპრავებს.

იმისთვის, რომ ქვეყნის მართვაში ჩაერიონ, ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნება არ სჭირდებათ. ესენი თანამდებობებზე რომც არც დანიშნონ, მაინც კარგად იქნებიან. უზარმაზარი ფინანსური რესურსები აქვთ. ხელისუფლებას მათთვის არაფერი წაურთმევია. რაღაც პატარა გადანაწილებები მოხდა და მორჩა.

ძველმა და ახალმა ხელისუფლებამ ერთად გადაადგეს ქართველი ერი. სააკაშვილი გააძევეს და გაიმყარა ბიძინამ თავისი აქტივები, გადაგდებული ხალხი დაიყენა ამ აქტივების დარაჯად. ხალხიც სიამოვნებით დარაჯობს მის აქტივებს.

– ახალ მთავრობაზეც გკითხავთ, რას ფიქრობთ მათზე? გვეუბნებიან, პროდასავლურები ვართო, პრემიერსა და ორ მინისტრს კი რუსეთში აქვს განათლება მიღებული.

– მარტო განათლება აქვთ რუსული? საბანკო ანგარიშები და ბიზნესი აქვთ მოსკოვში. მთავრობის წევრებს რომ თავი დავანებოთ, ნაციონალები რუსული ფულით არ ყელყელაობენ დღემდე? თავის დროზე მათ ხელისუფლებაში ფეხი რუსული ფულით მოიკიდეს. ყოფილი ხელისუფლების უმსხვილესი დამფინანსებელი იყო ბიძინა ივანიშვილი. მას რა, რუსული ფული არ ჰქონდა?!

ბევრს საუბრობენ ახალ მთავრობაზე. მე ასე დავსვამ კითხვას – სად არის მთავრობა. ისინი, ვისაც მინისტრებს ეძახიან, არსაიდან მოსული ხალხია. ზოგიერთს დიპლომიც არა აქვს. ერთი ღირსეული კაცი ჰყავდათ მთავრობაში და ისიც გაუშვეს.

– კახა კახიშვილზე საუბრობთ?

– კახიშვილზე მოგახსენებთ.

– თქვენი აზრით, რატომ გაუშვეს კახიშვილი?

– ამ გუნდში პროფესიონალებისა და საქმიანი ხალხის ადგილი არ არის. „ქართული ბოცნება“ თავიდან ბოლომდე გამოსიგუეტულია. სრულიად საქართველომ იხილა ის კოშმარი, რომელსაც სახელად პოლიციის მაღალჩინოსნის სოსო სიგუას დაკითხვა ერქვა. ის პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ დაკითხა. კომისია ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიას იძიებს.

სოსო სიგუა, რომლის სახელის ტარების დამსახურებული უფლება აქვს „ბოცნებას“, ელემენტარულად ვერ მეტყველებს. ისიც კი ვერ თქვა, რა სამსახურს ხელმძღვანელობდა. მთელი მთავრობა მას ჰგავს.

კიდევ ერთხელ ვკითხულობ, სად არის მთავრობა? შევიგნოთ, რომ არც მთავრობა გვყავს და არც – საპარლამენტო უმრავლესობა. ამ ხალხს ბიძინა ივანიშვილი გამოიყვანს, ერთი ან ორი წელი ამუშავებს და მერე გააქრობს.

დავზოგოთ ბიუჯეტი და საერთოდ გავაუქმოთ ეს მთავრობა, მაინც ერთი კაცი განაგებს ყველაფერს. იყოს ის ერთი კაცი და თავისი კლერკების მეშვეობით მართოს ქვეყანა. ისედაც თავისი კლერკები ჰყავს მინისტრებად დასმული.

როდესაც ქართულ კოხტაპრუწობას ვახსენებ, მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ვგულისხმობ, საზოგადოებაზეც ვსაუბრობ. ჩვენმა საზოგადოებამ დაუშვა, რომ ქვეყანა ერთმა კაცმა მართოს, რომელიც არც მეფეა, არც იმპერატორი, არც პრემიერია და არც პრეზიდენტი. ივანიშვილი ოფიციალურად არავინ არ არის. ასეთი კაცი მართავს ქვეყანას. ამას ხალხი გაგებით ეკიდება და იგივე ხალხი ევროპულ ღირებულებებზე გველაპარაკება. ევროპასა და ამერიკაში ასეთ რამეს არავინ დაუშვებს.

ერთი კაცი გვიდგენს ცხოვრების წესრიგს. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ჩინოსანი თუ უმუშევარი ერთმანეთს ასწრებენ, რომ როგორმე ბიძინასს შეეტენონ.

ივანიშვილი უნიჭიერესი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან კარგად დაიჭირა ქართველი კაცის კოხტაპრუწობა, წამხედურობა და შეძრომისკენ მიდრეკილება, კარგად შეისწავლა მასის ფსიქიკაც და რასაც უნდა, იმას უშვრება ქართულ სახელმწიფოს – ვისაც უნდა, მოიყვანს მთავრობაში და ვისაც უნდა, წაიყვანს.

მამუკა ბახტაძეზე ბევრი არაფერი ვიცით. ცნობილია, რომ დაიბადა ხონში, არსად არანაირი წარმატება არ ჰქონია. დაუახლოვდა იმ ერთი კაცის ოჯახს, დედამისთან ერთად გაამწარა ხალხი, უბინაოდ დატოვა, ჩააგდო რკინიგზა. ამ წარსულის ადამიანი მოიყვანეს პრემიერად.

გვეუბნებიან, ხალხი შიმშილობის ზღვარზეაო, ახალი პრემიერი ამბობს, რომ ეკონომიკური ზრდაა. თუ ეკონომიკური ზრდაა, კვირიკაშვილი რატომ გაუშვეს. არანაირი ეკონომიკური ზრდა არ ყოფილა. კვირიკაშვილიც გასაშვები იყო, მაგრამ მას თან ბახტაძეც უნდა მიჰყოლოდა.

– რატომ უნდა მიჰყოლოდა?

– კვირიკაშვილის მთავრობაში ფინანსთა მინისტრი და ვიცეპრემიერი იყო. სანამ ქვეყანა ერთი კაცის ხუშტურებზე ივლის, მანამდე არანაირი მნიშვნელობა არ ექნება, ვინ იქნება მთავრობის მეთაური. რამდენიმე ხანში ბახტაძესაც ისევე გააქრობენ სცენიდან, როგორც მისი წინამორბედი გააქრეს. ეს არ შეიცვლება, თუ საზოგადოება არ შეიცვალა. საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს, რომ ქვეყანაში მთავარი იყოს კანონი. საზოგადოება კი რას აკეთებს – იმ ერთ კაცს უძვრება. როცა ამ თემაზე ვსაუბრობ, ერთი ქალი მახსენდება. ორი წლის წინ ის ქალი, რომელიც პედაგოგია, ტელევიზიით გამოვიდა და ივანიშვილს მადლობა გადაუხადა, ბატონი ბიძინის მოსვლის შემდეგ ჩვენს შვილებს ხელისუფლება აღარ აუპატიურებსო.

ესეც კიდევ ერთი მანიშნებელია იმისა, რომ ერი ავად არის. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეების დასჯა მოითხოვონ, ბიძინას აქტივებს დარაჯობენ, არც გაუპატიურებული კონსტიტუცია ადარდებთ და არც – ჩამოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტები.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მარიამ მჭედლიშვილი

მირიან მირიანაშვილი: „ორ-სამ წელიწადში საქართველო ნატოს წევრი გახდება“

საპრეზიდენტო არჩევნებსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა" ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ღიდეს მირიან მირიანაშვილს.

„ახალი ვითარება მოითხოვს პოლიტიკური კლასის სრულიად გაახლებას“

– ნათქვამი გაქვთ, რომ აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტები პირისპირ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატზეც იმსჯელებენ. საქართველოში არ იგრძნობა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხომ არ გამოკვეთილა მისაღები კანდიდატი?

– ამერიკისა და რუსეთის მეთაურები ამ საკითხს შეეხებიან. სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ვიტყვი, რომ დონალდ ტრამპი არ გამოხატავს თავის პოზიციას.

– ეს იმას ნიშნავს, რომ კანდიდატურას „ქართული ოცნება“ ვაშინგტონის გარეშე შეარჩევს?

– ასე გამოდის, თუმცა, ამის აფიშირება არ მოხდება.

– რუსეთი ისევ ჩაერევა პროცესებში?

– რუსეთის გასვლა სამხრეთი კავკასიიდან და დასუსტება დაწყებულია, მაგრამ კრემლი ბევრ რამეში ისევ ერევა. რუსებს უნდათ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მათი ინტერესების გამტარებელი იყოს. სხვათა შორის, 4 ივლისს სმიტების ოჯახის რიტუალური ამოხოცვა მკვეთრად ანტიამერიკული ნაბიჯია. ყველასთვის ცხადია, რომ ეს პოლიტიკური სისასტიკე დაკავებულ მწყემსს არ ჩაუდენია. კრემლს ტყუილად აქვს იმედი, რომ ამერიკელები ამას ყოფით მკვლელობად მონათლავენ.

– აცხადებდით, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს გაუჭირდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატად გიგა ბოკერიას ლობირება.

– ლავროვის მთავარი დასაყრდენი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში „ევროპული საქართველო“ წარსულს ბარდება. ჩამოწერილად შეგვიძლია მივიჩნიოთ მისი ლიდერები ბოკერია და სხვები. ლავროვს, როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე გაუჭირდა ბოკერიას ასპარეზზე გაყვანა.

– იგი ფსონს სხვა ფიგურაზე დადებს?

– მას ამისი სურვილი აქვს. საუბარია ცნობილ პირზე, რომლის გაპიარება ბოლო დროს სოციალურ ქსელებში გააქტიურებულია. მის გვარს არ დავასახელებ. ეს ადამიანი, რომელიც ლავროვთან ეთნიკურადაა დაახლოებული, პროფესიონალად ითვლება. მას კარგი რეპუტაცია აქვს. ჩვენ კრემლის ანკესს არ უნდა წამოვეგოთ. „ქართულმა ოცნებამ“, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნოს, რომ ახალი რეალობა დგება. პრეზიდენტობის კანდიდატს გონივრულად უნდა მიუდგნენ.

– გონივრულად მიდგომა ნიშნავს კრემლისთვის და ლავროვისთვის სასურველ კანდიდატზე უარის თქმას?

– რასაკვირველია. „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად სალომე ზურაბიშვილი უნდა დაასახელოს.

– ამას დასავლეთი პოზიტიურად შეხვდება?

– ყოველ შემთხვევაში, ნორმალურად შეხვდებიან. ივანიშვილის უსაფრთხოებისთვის ეს ერთადერთი გამოსავალია. საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება იმ დროს, როცა სიტუაცია რუსეთის საწინააღმდეგოდ ტრიალდება. ეს ნატოს ბოლო სამიტზეც გამომჟღავნდა. იქ გაკეთებული განცხადებები და მიღებული დოკუმენტი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია.

– გარეგნულად ახალი არაფერი მომხდარა. რუსეთის საფრთხესა და იმაზე, რომ საქართველოს მაპის საშუალებით მომავალში ნატოში მიიღებენ, ადრეც გაცხადებულა.

– ასე მკაფიოდ და ერთსულოვნად ეს პირველად ითქვა. შესაბამის დოკუმენტს ყველამ, მათ შორის, ევროპის სკეპტიკოსმა ქვეყნებმაც მოაწერეს ხელი. ორ-სამ წელიწადში საქართველო ნატოს წევრი გახდება.

– ამას კულუარულ ინფორმაციებზე დაყრდნობით ამბობთ? გაწევრიანების ვადაზე არც სამიტზე უმსჯელიათ და არც სხვაგან.

– ეს სარწმუნო ინფორმაციაა. ამაზე ოფიციალურად ჯერ არ ლაპარაკობენ. ესაა სერიოზული დამატებითი ფაქტორი იმისთვის, რომ საქართველოში პოლიტიკური კლასი შეიცვალოს. ეს საქართველოსთვის გამოგონილი წესი არავის ეგონოს. ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებიც რუსეთის გავლენას განიცდიდნენ, ნატოში შესვლამდე ხდებოდა დიდი ცვლილებები – ნატოში გაწევრიანებას წინ უძღოდა პოლიტიკური სპექტრის გაწმენდა რუსეთიდან მართული პარტიებისგან და რუსეთის ჯაშუშებისაგან.

კარგი შანსი გვქონდა, ადგილობრივ არჩევნებზე გადაგვეხალისებინა პოლიტიკური კლასი. სამწუხაროდ, ეს არ მომხდარა. საკრებულოებში ხანდახან კამათიცაა, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრება ჩამკვდარია და ნამდვილი ოპოზიცია არ არსებობს. კრემლის ბრძანება საპრეზიდენტო არჩევნების თემაზე პაუზის გამოცხადების შესახებ, საქართველოს პოლიტიკურმა სპექტრმა შესაშური მონდომებით შეასრულა. ამით ბევრის ლუსტრაცია მოხდა. რუსეთის ჯაშუშებს იმედი აქვთ, რომ მიმდინარე პროცესებს დაამუხრუჭებენ. ისინი ცდებიან. მათი მოლოდინი მცდარია.

– ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ერთად დადგნენ და „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდნენ.

– ამით ისინი ვერაფერს მიაღწევენ. ისეთი გულუბრყვილოც არავინ უნდა იყოს, რომ მათი თამაშები და სპექტაკლები დაიჯეროს. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ამ დადგმებისა არ სჯერათ. მოსკოვის რჩეული სააკაშვილი უფუნქციოდ დარჩა. იმ დროს, როცა სააკაშვილი ნაბიჯს ვერ დგამს, მისმა ნაცმოძრაობამ რა მისია უნდა იტვირთოს? ერთად იქნებიან რუსეთის მიერ დასმული პოლიტიკური ჯგუფები თუ ცალ-ცალკე, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მათ თავი ამოწურეს და ნიღაბი ჩამოიხსნეს.

„ოცნება“ ანაკლიის პორტის პროექტის გადახედვას აპირებს

ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატმა სააკაშვილთან ერთად სალობიეში ყოფნა აღიარა

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ გიორგი კვირიკაშვილის ჩამოლაბორანტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ანაკლიის პორტის პროექტი იყო. როგორც ამბობენ, ამ პროექტით რუსეთი იყო დაინტერესებული, ნაპრემიერალმა კი ამერიკელები ჩართო საქმეში.

ოფიციალურად მმართველი გუნდი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. მათი განცხადებით, ეს პროექტი საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა.

ამ დროს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრობის კანდიდატი, გიორგი ქობულია აცხადებს, რომ ანაკლიის პორტის პროექტი გადასახედია.

– ანაკლიის პროექტზე ბევრი ლაპარაკი იყო. ეს არის მთლიანობაში საქართველოს ლოჯისტიკური ჰაბის სტრატეგიის საკითხი. არ შეიძლება, ანაკლიის პორტი ცალკე იყოს. ჩვენთვის, როგორც მთავრობისთვის, მნიშვნელოვანია მთლიანად ქვეყნის სარგებელი. ანაკლიის პროექტი არის აბსოლუტურად განსახილველი პრიორიტეტი. აქ არის საუბარი ამ საკითხის კომპლექსურად შესწავლაზე და ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ ამას კომპლექსურად. ჩემთვისაც პრიორიტეტია, ეს არის ერთ-ერთი უმსხვილესი პროექტი და როგორ შეიძლება, ჩემთვის პრიორიტეტი არ იყოს.

საქმე ისაა, რომ სიტუაცია ძალიან სწრაფად იცვლება ტვირთბრუნვების თვალსაზრისით. ჩვენ უნდა გადავხედოთ კიდევ ერთხელ. ჩემს გუნდთან საუბარი მქონდა, რომ კიდევ ერთხელ უნდა ავწიოთ ის კვლევები, რომლებიც გაკეთებული იყო. შეიძლება, განვაახლოთ, კიდევ ერთხელ შევხედოთ ამას ახალი თვალით, როგორ იქცეს საქართველო ჰაბად, როგორ გამოვიყენოთ მაქსიმალურად ეს დერეფანი – ჯერჯერობით პასუხი ამ კითხვაზე არა მაქვს, მაგრამ გვექნება, – განაცხადა ქობულიამ საპარლამენტო კომიტეტების სხდომაზე.

მის ამ განცხადებას, ბუნებრივია, მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მინისტრობის კანდიდატი იძულებული შეიქმნა, დამატებითი განმარტებები გაეკეთებინა.

ქობულია განმარტავს, რომ მას პროექტის გადახედვა არ უგულისხმია. ჟურნალისტებთან საუბრისას მან ჩააზუსტა, რომ გადასახედია არა პორტის პროექტი, არამედ საქართველოს, როგორც ლოჯისტიკური ჰაბისა და დერეფნის სტრატეგია.

– ანაკლიის პროექტის გადახედვა არ მიგულისხმია. მე ვიგულისხმე, რომ ჩვენ უნდა გადავხედოთ საქართველოს, როგორც ლოჯისტიკური ჰაბისა და დერეფნის სტრატეგიას, საიდან მოდის ეს – საქართველოს ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი უპირატესობა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობაა, – ჩააზუსტა ქობულიამ.

მისი თქმით, წლებია, ამაზე საუბარი მიმდინარეობს და ქვეყანამ აღნიშნული გეოგრაფიული მდებარეობა უნდა გამოიყენოს და ტვირთების გადაზიდვები განავითაროს.

– ეს ყველაფერი ხდება, მაგრამ აქ ჩვენ დამატებით ძალიან დიდ პოტენციალს ვხედავთ. ამასთან დაკავშირებით, თვითონ ამ სტრატეგიას უნდა გადავხედოთ, თუ როგორ გვინდა, განვავითაროთ და ავითვისოთ პოტენციალი, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას აქვს. ეს კომპლექსური ამოცანაა, რომელიც გადახედილი იქნება – პორტები, რკინიგზა, ავტოტრანსპორტი და ამ კომპონენტების ურთიერთზემოქმედების თვალსაზრისით, – ამბობს მინისტრობის კანდიდატი.

საოცნებო მინისტრების დიდი ნაწილი ნაციონალებთან კავშირშია შემჩნეულია. ბევრი მათგანი ამ პარტიაში დაფრთიანდა. ამ მხრივ უცოდველი არც ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატია. მან პარლამენტში აღიარა, რომ მიხეილ სააკაშვილთან ერთად სალობიეში მოილხინა.

– ბატონ მიხეილ სააკაშვილთან მე შეხვედრილი ვარ, სადღაც, 2007 წელს. შეიძლება გახსოვთ, იყო ასეთი ინიციატივა, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ეკონომისტების რაღაც კომისიასავით შეიქმნა და ამ ფარგლებში მახსოვს, ჩამოსული ვიყავი. რაღაც კრიზისი იყო, ხომ გახსოვთ. მერე მახსოვს ძაან კარგად, მცხეთაში წავედით, სალობიეში და ეს ძაან კარგად დამამახსოვრდა. კარგი იყო, რაა, – აცხადებს გიორგი ქობულია.

მინისტრობის კანდიდატს ფილოსოფიური წიაღსვლებიც ჰქონდა. მისი თქმით,

ჩვენი ეკონომიკური ზრდის ფილოსოფია ემყარება არა მარტო ეკონომიკის ზრდას, არამედ შემოსავლების თანაბარ გადანაწილებას.

თავის გამოსვლაში მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდასა და იმ გადაწყვეტილებებზე, რომელთა განხორციელებითაც აღნიშნული მიზანი მიიღწევა. მათ შორის, გიორგი ქობულიამ აქცენტი გააკეთა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე, ინდუსტრიალიზაციის დონის დაჩქარებაზე, რეგიონების განვითარებასა და ბიზნესის სტიმულირების სხვა ღონისძიებებზე.

ქობულიას განცხადებით, მიუხედავად დადებითი ეკონომიკური ტენდენციებისა და საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის პოზიტიური შედეგებისა, საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა.

მისი თქმით, მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველო ღარიბ ქვეყნებს შორისაა, ეკონომიკური შემოსავალი კი, რომელიც ქვეყანაში იქნება, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით არის მცირე. გიორგი ქობულია ასევე შეეხო უმუშევრობის მაღალ დონეს.

გამოწვევების დასაძლევად მან რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება დაასახელა. ესენია: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ეკონომიკურ პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა; ინდუსტრიალიზაცია და ახალი წარმოებების შექმნა; რეგიონებში ახალი პერსპექტივების გაჩენა, განსაკუთრებით, აგროსექტორისა და მასთან მომიჯნავე დარგების განვითარების მიმართულებით. გიორგი ქობულიამ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი საქართველოს, როგორც ლოგისტიკური ჰაბის ფუნქციის განვითარებას.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების სტიმულირებისთვის, გიორგი ქობულიამ აქცენტი გააკეთა შრომითი რესურსების განვითარებაზე, აგრეთვე საერთაშორისო ბაზრებზე საქართველოს მეტ ინტეგრაციაზე, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებებისა და მომსახურებების შექმნასა და გამრავალფეროვნებაზე.

ერთ-ერთ პრიორიტეტად გიორგი ქობულიამ საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარება და საერთაშორისო ბაზრებზე მეტი ინტეგრაცია დაასახელა.

– დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ საერთო ძალებით შევძლებთ საქართველოს კეთილდღეობის კიდევ უფრო გაძლიერებას – დიდი ენთუზიაზმით ვარ განწყობილი ამ ამოცანის შესასრულებლად, ჩემთვის ეს არის გამოწვევა და ძალიან საინტერესოა, – განაცხადა ქობულიამ.

„სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის მოქალაქე აღარ არის“

ავთანდილ დემეტრაშვილი: „არ გამიკვირდება, მას ხელისუფლებამ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი რომ დაუჭიროს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი „ახალი თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის მონაწილეობის საკითხზე საუბრობს.

– ბატონო ავთანდილ, კულუარული ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ კანდიდატი არ ეყოლება და ის მხარს სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს, როგორც ეს საპარლამენტო არჩევნებზე მოხდა. წინა საპრეზიდენტო არჩევნებში ის ვერ დარეგისტრირდა ორმაგი მოქალაქეობის გამო. დღეს რას ამბობს კონსტიტუცია მოქალაქეობასთან და ბინადრობის ცენზთან დაკავშირებით?

– სალომე ზურაბიშვილი უკვე აღარ არის საფრანგეთის მოქალაქე. ის საქართველოს მოქალაქეა. რაც შეეხება ბინადრობის ცენზს, კონსტიტუცია შემდეგს ადგენს: კანდიდატი, საერთო ჯამში, 5 წელი უნდა ცხოვრობდეს საქართველოში და ასევე არჩევნების დღემდე, სულ ცოტა, 3 წელი უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში. ზუსტად ვერ გეტყვით, ბოლო 3 წელი ცხოვრობდა თუ არა საქართველოში. პარლამენტის წევრი გახდა 2016 წელის ნოემბერში, 2 წელი გამოდის, მაგრამ შეიძლება საპარლამენტო არჩევნებამდე 1 წელი ცხოვრობდა საქართველოში. დანარჩენი კუთხით ის სრულად აკმაყოფილებს კონსტიტუციის მოთხოვნებს, მაგალითად, ასაკობრივ ცენზს, მოქალაქეობის საკითხს.

– სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობა დატოვა?

– დიახ. მე ეს ინფორმაცია მის პირად ადვოკატთან გადავამოწმე. ის აღარ არის საფრანგეთის მოქალაქე. თუ მას დღესაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს, მაშინ, რასაკვირველია, არავინ გაატარებს რეგისტრაციაში.

– როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება მმართველმა ძალამ ეს გადაწყვეტილება მიიღოს და საკუთარი კანდიდატი არ ჰყავდეს?

– თუ „ქართულ ოცნებას“ გადაწყვეტილი აქვს, რომ სალომე ზურაბიშვილს დაუჭიროს მხარი, მაშინ ეს მისი მხრიდან საკმაოდ გონივრული ნაბიჯი იქნება.

– რატომ?

– „ქართული ოცნების“ მიმართ საზოგადოებაში საკმაოდ ნეგატიური განწყობა არსებობს, რასაც ვერ ვიტყვით სალომე ზურაბიშვილზე. ზურაბიშვილი აღიქმება „ოცნების“ სატელიტად, მაგრამ ასეთი უარყოფითი აურა მის მიმართ, რამდენადაც ვიცი, ხალხში არ არის, ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ეს კარგად გააზრებული ნაბიჯია.

– მმართველ ძალას კანდიდატის პრობლემა ჰქონდა? ერთ-ერთი ბოლო ვერსიით, ეს შეთავაზება მიიღო ევროსასამართლოს მოსამართლე ლადო ჭანტურიამ, მაგრამ მან უარი თქვა.

– ამომრჩეველთა გარკვეულ რაოდენობაში „ქართული ოცნების“ წევრის მიმართ შეიძლება უარყოფითი – არა, მაგრამ ნიჰილისტური განწყობა ნამდვილად არსებობს. ამიტომ პირდაპირ „ოცნების“ რიგებიდან კანდიდატის დასახელება გარკვეულ რისკებს ნამდვილად შეიცავს.

ეს საპრეზიდენტო არჩევნები უფრო აპოლიტიკური და უპარტიო კანდიდატების არჩევნები იქნება. ამიტომ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ „ქართულ ოცნებაში“ იფიქრეს, გარედან ყველაზე კარგი ვარიანტი სწორედ სალომე ზურაბიშვილი იქნებოდა.

თავის დროზე „ოცნებამ“ ზურაბიშვილს დეპუტატის მანდატი აჩუქა, რადგან კონკურენტი არ დაუყენა. ზურაბიშვილსაც მადლიერების განცდა არ დავიწყებია. მისი პოლიტიკური პოზიციები არსებითად არ განსხვავდება „ქართული ოცნებისგან“, თუ არ ჩავთვლით ახალ კონსტიტუციის პროექტს, სადაც ის არ ეთანხმებოდა „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის არაპირდაპირ არჩევნებში, სტატუსის დაკნინებაში და ა.შ.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, ლადო ჭანტურია ჩემი მეგობარია. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ლადო ამ შეთავაზებას არ დასთანხმდებოდა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ლადო ევროპის სასამართლოში 10 წლით არის მოსამართლედ არჩეული, პრეზიდენტს 6 წლით ვირჩევთ. მეორე, რა შედარებაა სტრასბურის მოსამართლის ხელფასსა და საქართველოს პრეზიდენტის ხელფასს შორის. თუმცა, მე არ ვფიქრობ, რომ ეს რამე კორექტივს შეიტანდა მის ამ გადაწყვეტილებაში. ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა ჩამოვიდეს, რომ ათონელის რეზიდენციაში შევიდეს?! ეს გამორიცხულია. ლადოს სხვა ბევრი თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა.

– სალომე ზურაბიშვილი არ არის რბილი ხასიათის პოლიტიკოსი, ამდენად, „ოცნებამ“ შეიძლება მარგველაშვილზე უფრო ხისტი პრეზიდენტი მიიღოს. ეთანხმებით?

– დიახ, მე არ გამოვრიცხავ, რომ ის ხისტი პრეზიდენტი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს აქტიური შესაძლებლობები საკანონმდებლო პროცესში, აღმასრულებელ სფეროში. სალომე ზურაბიშვილი ძალიან აქტიური ფიგურაა, არასდროს ერიდება პოზიციის დაფიქსირებას, ამდენად, მე არ გამოვრიცხავ, რომ ცოტა გაუგებარი იყოს მისთვის კონსტიტუციის ახალი მოთხოვნები. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია, სახელმწიფოში პირველი პირია და ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. ამდენად, ის არასდროს მოერიდება თავისი პოზიციის დაფიქსირებას, მაგრამ მმართველ გუნდთან გადაიზრდება თუ არა კონფრონტაციაში მისი დამოკიდებულება, ეს სხვა საკითხია.

კიდევ არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: როგორი იქნება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური კონფიგურაცია ქვეყანაში 3%-იანი საარჩევნო ბარიერისა და პოლიტიკური ბლოკების ფონზე.

– ალბათ მეტი პარტია შევა პარლამენტში.

– რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება გახდეს საჭირო. სწორედ ამ ფონზე პრეზიდენტის როლი წამოვა წინა პლანზე, მიუხედავად თითქოსდა მისი მოკრძალებული უფლებამოსილებისა, მოქმედებების ფართო არეალი ეხსნება.

– ახალი პრეზიდენტი ათონელის რეზიდენციას დაიკავებს თუ ეს მის ვინაობაზე იქნება დამოკიდებული?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი. სალომე ზურაბიშვილი თუ აირჩიეს, ის ალბათ გადმოვა, მაგრამ, ალეკო ელისაშვილი თუ აირჩიეს, ის არ გადმოვა. ბოლოს და ბოლოს, რა არის პრეზიდენტის რეზიდენცია ასეთი, ის ხომ არა, რომ უფრო კომფორტულია, არა, რასაკვირველია, ეს არის სიმბოლო. მაგალითად, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში პარლამენტის სასახლეა მითითებული და არა ქალაქი, განსხვავებით წინა რედაქციისგან, სადაც პირდაპირ ქუთაისი იყო მითითებული.

ამდენად, 2018 წლის საგაზაფხულო სესია უკვე თბილისში გაიხსნება და საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ პარლამენტი თბილისში გადმოვა.

სანდრა რულოვსი თუ გრიგოლ ვაშაძე – ვის დაასახელებენ საპრეზიდენტო კანდიდატად ნაციონალები

მამუკა გამყრელიძე: „მამუკა ბახტაძემ თვითონ არ იცის, რა უნდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ახალ მთავრობას ამტკიცებს პარლამენტი. ოპოზიცია უკმაყოფილოა. საზოგადოება დუმს. როგორია თქვენი დამოკიდებულება?

– არანაირი განსაკუთრებული სიახლის შეგრძნება არ მაქვს. რეალურად ისევ იგივე ხდება. მთავარი აქ ისევ პრემიერის ფიგურაა. მოიყვანეს პრემიერი, რომელსაც დიდად თავი არაფერში გამოუჩენია. თვითონ „ქართული ოცნების“ პირობებში რკინიგზის ხელმძღვანელი იყო და იქაც ვერ გამოიჩინა თავი. რას უნდა ველოდოთ მისგან? არც არაფერს! ან მისი მოყვანილი მინისტრები რას შეცვლიან.

ეს არის ტექნიკური მთავრობა, რომელიც დროებით მოიყვანეს და მომავალ წელს, 2019 წლის შემოდგომამდე, აუცილებლად მივიღებთ ვადამდელ არჩევნებს. თავადაც კარგად იციან, რომ ეს ასეა, შიგნითაც ბევრი გაურკვევლობა აქვთ. ერთმანეთის საპირისპირო განცხადებებს აკეთებენ. მათი სტრატეგია სრულიად გაუგებარია. გაუგებარია იმიტომ, რომ ეს ახალგაზრდა კაცი, ბახტაძე, ჯერ თვითონ არ არის ჩამოყალიბებული, წარმოდგენა არა აქვს, რა და როგორ უნდა.

– საით მიიანშნებთ, რომ ეს ყველაფერი ფორმალობაა და სიტუაციას კვლავაც ივანიშვილი მართავს?

– რა თქმა უნდა, მხოლოდ ასეა. როგორც ჩანს, ამ პროცესებით საზოგადოება არ არის აღშფოთებული ან რაღაცით უკმაყოფილო.

– მშვიდად შეხვდა ცვლილებებს?

– არც აწუხებს დიდად, არც აინტერესებს. ამას ძალიან კარგად გრძნობს ივანიშვილი. ხედავთ, როგორ ლამაზად ალაგებს ყველაფერს?! გარკვეული პრობლემები იყო, როდესაც ზაზა სარალიძის ამბებზე იყო გამოსვლები და მან ესეც ძალიან მარტივად გადაიტანა და ძალიან კარგადაც გამოიყენა – ამ გამოსვლების ფონზე გაუშვა პრემიერი და შემდეგ გამოაცხადეს, რომ პრემიერს უშვებენ არა იმიტომ, რომ ვერ ფლობს სიტუაციას, არამედ იმიტომ, რომ ეკონომიკური ჯგუფი არ მუშაობს კარგად. ამ ეკონომიკურ ჯგუფში მიაყოლა ყველა ადამიანი, ვინც კვირიკაშვილის გვართან იყო დაკავშირებული. ხომ ვიცით, რის გამოც იყო ეს ყველაფერი?!

– რის გამო?

– ეს ყველაფერი პორტის გარშემოა, როგორც ჩანს, უმაგისოდ დაიწყო ფულის კეთება კვირიკაშვილის გუნდმა და სასწრაფოდ მოაშორა. აი ნახეთ, თიბისი ბანკთანაც იქნება გარკვეული პრობლემები.

– რას გულისხმობთ?

– ხაზარაძესა და მის ბანკს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან. აი, ამ დაბალ დონემდე დადის ეს ყველაფერი.

– საპრეზიდენტო არჩევნები მოახლოვდა და კანდიდატების დასახელებას არავინ ჩქარობს. ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი არ ეყოლება?

– მთლიანი ოპოზიციის გაერთიანება ძალიან რთულია. ერთიანი კანდიდატი ოპოზიციის რაღაცა ნაწილს აუცილებლად ეყოლება და ეს მოხდება ძალიან მალე. 16-ში და 17-ში დაინახავთ ამ ყველაფერს. გარდა ამისა, ოპოზიციის რაღაც ნაწილიც ერთმანეთთან თანამშრომლობაზე აცხადებს თანხმობას. ამიტომ ასე ხელაღებით იმის თქმა, რომ ოპოზიციამ შეთანხმება ვერ მოახერხა, არ შეიძლება.

შეიძლება მთლიანი ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება არ მოხერხდა და ეს ვერც მოხერხდება, იმხელა განსხვავებებია იდეოლოგიური თვალსაზრისთ, მაგრამ მთელი ოპოზიცია ერთსულოვანია იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი აუცილებლად უნდა დამთავრდეს.

– ანუ ნაციონალური მოძრაობა და მასთან ასოცირებული პარტიები 16 ივლისს უკვე დაასახელებენ საკუთარ კანდიდატს?

– უფრო 17 ივლისს. 15-ში მთავრდება ფეხბურთი. აქამდე ყველას ყურადღება აქეთ იყო მიპყრობილი. რატომღაც ფეხბურთი უფრო აინტერესებს ყველას. მთავრდება მსოფლიო ჩემპიონატი და ახლა ხელს რაღა შეგვიშლის?!

– საუბარია ორ კანდიდატზე, სანდრა რულოვსსა და გრიგოლ ვაშაძეზე. რას გვეტყვით თქვენ, რომელზე შეჯერდით?

– 17-ში იქნება ეს ყველაფერი, მოვლენებს წინ არ გავუსწრებ. რა ვიცი, რა ხდება, შეიძლება ახალი იყოს კიდევ.

– ის მაინც გვითხარით, კანდიდატზე შეჯერებული ხართ?

– ჯერჯერობით – კი. ვფიქრობ, არაფერი შეიცვლება.

– რამდენი პარტია გაერთიანდით?

– სისტემა არის ასეთი, რაც ადრე იყო, „ერთობა – ახალი საქართველო“ როგორი სისტემითაც იყო. შექმნილია მთლიანი პლატფორმა, აქ არ არიან მარტო პარტიები, აქ არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც და ფიზიკური პირებიც. ეს არის უფრო მოქნილი და უფრო ღია ვარიანტი. ჩვენ დავაანონსებთ ამ პლატფორმის შექმნას უახლოეს დღეებში და იქ ყველაფერი გაირკვევა. შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან საინტერესო პროცესები იწყება.

– საინტერესო რა თვალსაზრისით?

– ეს საქართველოს პრეზიდენტის უკანასკნელი არჩევნებია. ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები აღარ გვექნება, თუ არ შეიცვალა საქართველოს კონსტიტუცია. შესაბამისად, უკანასკნელად ექნება ხალხს თავისი პრეზიდენტის არჩევის საშუალება.

– ხალხს აქტიურობისკენ მოუწოდებთ?

– დიახ. ხალხის დიდი ნაწილი უნდა მიხვდეს, რომ უნდა მოვიდეს არჩევნებზე, რომ არ არის პრეზიდენტი მეორეხარისხოვანი და ხელწამოსაკრავი ფიგურა, რომ მას გააჩნია სერიოზული შესაძლებლობები. უნდა მიხვდნენ, რომ ეს ადამიანი უნდა იყოს საპირწონე იმ ძალისა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია.

„ქართულმა ოცნებამ“ მთლიანად ჩაიგდო ხელში ძალაუფლება. პარლამენტში მათ აქვთ საკონსტიტუციო უმრავლესობა. ასეთ პირობებში რაღაცა საპირწონე უნდა იყოს. თუ გვინდა, გარეგნული ფასადი მაინც შევინარჩუნოთ, ბალანსი მაინც იყოს, ამ არჩევნებში ოპოზიციურმა კანდიდატმა უნდა გაიმარჯვოს.

თუ ეს შევძელით, ჩვენ ვიღებთ ძალიან საინტერესო და დიდი მნიშვნელობის ფაქტს, რომ მოხდა პირველი მარცხი „ქართული ოცნებისა“ ამ ბოლო წლების განმავლობაში. ამის შემდეგ ხელისუფლების გადაბარებაც მშვიდად მოხდება. პრეზიდენტის ფიგურა თუ იქნება ოპოზიციური, ის ძალიან ბევრ რაღაცას შეძლებს.

– საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ოპტიმისტური მოლოდინები გაქვთ?

– მე დიდი იმედით ვუყურებ ამ ყველაფერს და იქნებ ახლა მაინც გამოიჩინოს „ქართულმა ოცნებამ“ გონი და არ გამოიყენოს ძალიან მძიმე ადმინისტრაციული რესურსი, რაც მას გააჩნია. დღეს 30% ფორა აქვს. თუ ის არ გამოიყენებს ამ ძალიან ძლიერ და არაკონსტიტუციურ ძალას, მაშინ ოპოზიცია მშვიდად გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებზე.

პირველ რიგში ეს სჭირდება ხელისუფლებას. უნდა მიხვდნენ, რომ თუ არ არის ბალანსი დაცული ქვეყანაში, ეს პირველ რიგში სწორედ ხელისუფლების პრობლემაა.

– ასეთი ინფორმაციაც ვრცელდება, რომ „ქართული ოცნება“ არ დააყენებს საკუთარ კანდიდატურას და მხარს დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს. ამაზე რას იტყვით?

– მე რატომღაც მაინც მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი უნდა ყოფილიყო, ალბათ ყველაზე რეალური ეგ იქნებოდა, თუ გამარჯვება უნდათ. სალომე ზურაბიშვილზე რა გითხრათ. კარგს ვერ გეტყვით და ცუდის თქმა არ მინდა.

ირაკლი ყიფიანი: „მთავარი პრობლემა არასტაბილური ბიზნესგარემო, გაუმჭვირვალე ბიუროკრატია და ინვესტიციების გაუაზრებელი პოლიტიკაა“

ფინანსთა მინისტრობის კანდიდატის ივანე მაჭავარიანს მთავრობაში მოსვლის შემთხვევაში სამი პრიორიტეტი ექნება, ესენია: დეფიციტი, საგარეო ვალი და ინფლაცია.

ეკონომისტი ირაკლი ყიფიანი ფინანსთა მინისტრობის კანდიდატის პრიორიტეტებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ გაჟღერებული საკითხები ქვეყნისთვის პრობლემას ნამდვილად წარმოადგენს, თუმცა, ექსპერტი სხვა პრიორიტეტულ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას.

– შეიძლება ხემ დაიწყოს გახმობა და ფოთოლი გაყვითლდეს, ფოთლის სიყვითლე არის პრობლემა მაგრამ, მთავრი პრობლემა სულ სხვაა. მთავრი პრობლემა არის ის, რომ ხეს დაავადება აქვს და ამ დაავადებას ჰქვია პოლიტიკურად არასტაბილური ბიზნეს გარემო ქვეყანაში. დღეს ჯანდაცვაში ფულს არავი ჩადებს იმიტომ, რომ 2012 წლამდე სულ სხვა ჯანდაცვის პოლიტიკა გვქონდა, მაშინ ვასტიმულირებდით კერძო სადაზღვეოებს ახლა 100 % განსხვავებული ჯანდაცვის პოლიტკა გვაქვს. ესეთი გაუაზრებელი ნაბიჯები ქმნის ბიზნესის არასტაბილურობას, არასტაბილურობის გამოსწორებას კი ათწლეულები სჭირდება. არასტაბილურ ბიზნესგარემოსთან ერთად გამოვყოფდი გაუმჭვირვალე ბიუროკრატიას და ქვეყანაში ინვესტიციების მიმართულებით გაუაზრებელ პოლიტიკას, – აცხადებს ირაკლი ყიფიანი.

კომერსანტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ერთი უზრუნველყოფის ქვეშ რამდენიმე მსესხებელზე 100 ათას ლარზე მეტის გაცემა აეკრძალათ

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს 1 უზრუნველყოფის ქვეშ რამდენიმე მსესხებელზე ჯამში, 100 ათას ლარზე მეტის გაცემა აეკრძალათ. ამის შესახებ, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის არჩილ მესტვირიშვილის 5 ივლისის ბრძანებაშია აღნიშნული, რომელიც „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესს“ ეხება.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მსგავსი ლიმიტი არ ჰქონდათ დაწესებული და ერთი უზრუნველყოფის ქვეშ რამდენიმე მსესხებელზე ჯამურად, დიდი მოცულობის სესხის გაცემა იყო შესაძლებელი. 5 ივლისის ბრძანების თანახად კი, „ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობა 100 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს“.

ცნობისთვის, ეროვნული ბანკის აღნიშნული რეგულაცია მიმდინარე წლის 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდება.

ბპნ

2015–2018 წლებში კრიტიკული შეუსაბამობის გამო, საწარმოო პროცესი 969 ბიზნესოპერატორს შეუჩერდა

ეტიკეტირების წესი 1.025 ბიზნეს-ოპერატორმა დაარღვია, საწარმოო პროცესი კი – 969 სუბიექტს შეუჩერდა. ამის შესახებ „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გამოქვეყნებულ სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის შესწავლის შედეგებშია აღნიშნული, რომელიც სურსათის უვნებლობის კონტროლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე, 2015-2018 წლებში არსებულ ვითარებას ეხება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, შესწავლის დროს დაისვა საკითხები, თუ რამდენმა ბიზნესოპერატორმა მიმართა სააგენტოს 2015-2018 წლებში აღიარების მინიჭების თხოვნით, რამდენი მათგანის მიმართ მოხდა აღიარება, რამდენს ეთქვა უარი, რამდენმა ბიზნესოპერატორმა აწარმოა საქმიანობა შესაბამისი აღიარების გარეშე და რა რეაგირება ჰქონდა სააგენტოს აღნიშნულზე.

ორგანიზაციის დაინტერესება, აგრეთვე

ეხებოდა საკითხებს, თუ რა მიზეზით ხდება ცალკეულ ობიექტებში საწარმოო პროცესის შეჩერება, როგორი მდგომარეობაა სურსათის ეტიკეტირების კუთხით, რამდენად იცავენ კომპანიები ნარჩენების აღრიცხვის წესს და ხდება თუ არა სახიფათო ნარჩენების შეგროვება/განადგურება დადგენილი წესის შესაბამისად, როგორია ვადაგასული პროდუქციის აღმოჩენისას სააგენტოს მიმართ მოქალაქეთა მიმართვიანობა.

ამასთან, ორგანიზაცია დაინტერესდა იმითაც, თუ როგორ რეაგირებს რიგი რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო უწყება, რომელიც ვალდებულია ყველა დასახელებულ საკითხზე განახორციელოს მუდმივი კონტროლი.

– შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 15 მაისის მდგომარეობით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს აღიარების მინიჭების თხოვნით, საერთო ჯამში 914-მა ბიზნეს-ოპერატორმა მიმართა.

აქედან, აღიარებულ იქნა 611 ბიზნეს-ოპერატორი, ხოლო 303-მა სუბიექტმა აღიარება ვერ მოიპოვა. ძირითად შემთხვევებში, აღიარებაზე უარის თქმის საფუძველს ინფრასტრუქტურის, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა წარმოადგენს. ამასთან, დასახელებულ პერიოდში, სააგენტოს გადაწყვეტილებით 21-ს, ხოლო საკუთარი განცხადების საფუძველზე – 219 ბიზნესოპერატორს აღიარება გაუუქმდა. აგრეთვე, მოკვლევის ფარგლებში დგინდება, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან, აღიარების არმქონე 15 ბიზნესოპერატორის საქმიანობა გამოვლინდა. სააგენტოს მხრიდან, მათ მიმართ განხორციელდა საჯარიმო სანქცია 500 ლარის ოდენობით და შეუწყდათ საწარმოო პროცესი.

ორგანიზაციის შეფასებით, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან საწარმოო პროცესის შეჩერების მექანიზმის გამოყენების საკითხი. საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას, კრიტიკული შეუსაბამობის გამო, საწარმოო პროცესი შეუჩერდა 969 ბიზნეს-ოპერატორს. სააგენტოს მხრიდან, საწარმოო პროცესის შეჩერების ძირითად მიზეზებს წარმოადგენს არასათანადო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, კონდენსატის წარმოქმნა/დაგროვება, სურსათთან უშუალო შეხებაში მყოფი საგნების, აღჭურვილობების და მოწყობილობების დასუფთავება-დეზინფექციის არ არსებობა, ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა, კოროზიული აღჭურვილობები, რომლებიც უშუალო შეხებაშია სურსათთან, სასმელი წყლის არ არსებობა და სხვა. ორგანიზაციამ მოკვლევის პროცესში ყურადღება დაუთმო სურსათის ეტიკეტირების საკითხს. შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ 2015-2018 წლებში, საერთო ჯამში – 1025 ბიზნეს-ოპერატორმა დაარღვია ეტიკეტირების წესი, რის გამოც მათ მიმართ გამოყენებულ იქნა საჯარიმო სანქცია და დარღვევის აღმოსაფხვრელად მათ შესაბამისი მითითებები მიეცათ. ამავე პერიოდში, გენმოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტირების წესის დარღვევის გამო, სააგენტოს მიერ 4 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, მნიშვნელოვანია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ ვადაგასული პროდუქციის რეალიზაციისა თუ სურსათის უვნებლობის მიმართულებით გამოვლენილ სხვა დარღვევებზე მოქალაქეთა მიმართვიანობის საკითხი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში, საკმაოდ დაბალია. კერძოდ, 2015-2018 წლებში, საცალო გაყიდვების ქსელში ვადაგასული პროდუქციის რეალიზაციის შესახებ სურსათის ეროვნულ სააგენტოში ჯამში, 172 შეტყობინება შევიდა.

– სააგენტომ დასახელებულ ობიექტებში განახორციელა არაგეგმიური კონტროლი. დგინდება, რომ დასახელებულ პერიოდში ადგილი ჰქონდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ სახელმწიფო კონტროლის ხელის შეშლის ფაქტებს, რის გამოც სააგენტომ საერთო ჯამში – 9 ბიზნეს-ოპერატორი დააჯარიმა.

ორგანიზაცია, სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მიზნებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, აქცენტს აკეთებს სასურსათო კომპანიების მხრიდან ნარჩენების აღრიცხვის წესის, აგრეთვე სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემის კონტროლის საკითხზე. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მიუხედავად სააგენტოს საქმიანობის მიმართულებებში ამგვარი კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებისა, სააგენტო მიუთითებს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოს ინფორმაცია არ გააჩნია.

მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი მონიტორინგის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ დასახელებულ პერიოდში განხორციელებული საქმიანობა შესაძლებელია ნაკლებეფექტურად შეფასდეს, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, იკვეთება მომხმარებელთა მიმართ ინფორმაციის ნაკლებობა, რაც თავის მხრივ, სააგენტოში არსებული დარღვევების შესახებ ინფორმაციის არ არსებობას გულისხმობს. აგრეთვე, მნიშვნელოვანია სანქციების საკითხი. ძირითად შემთხვევაში, პრაქტიკულად უშედეგოა სხვადასხვა დარღვევებისთვის გათვალისწინებული საჯარიმო თანხის ოდენობა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია სააგენტოს მხრიდან სურსათის უვნებლობის მიმართულებით, სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, წლიური პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

სააგენტო, რომელიც თანაბრად უნდა აკონტროლებდეს, როგორც ქვეყნის მასშტაბით ყველა საკვებ ობიექტს, აგრეთვე აგრარულ ბაზრებსა და სურსათის მწარმოებელ ბიზნეს-ოპერატორებს, ყოველწლიური გეგმის შესაბამისად ახორციელებს კონტროლს, რაც გულისხმობს კონკრეტულ წელს ერთი კონკრეტული სეგმენტის პრიორიტეტულ შემოწმებას. მაგალითად, 2017 წელს სააგენტოსთვის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა სკოლის ბუფეტები, საბავშვო ბაღების კვების ბლოკები, ხორცის სარეალიზაციო ობიექტები, ხოლო მიმდინარე წელს პრიორიტეტად შენარჩუნებული საბავშვო ბაღების კვების ბლოკების კონტროლი და განსაზღვრულია ახალი პრიორიტეტები: აგრარული ბაზრები, ყველის, თევზის საწარმოები. პრიორიტეტებად კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა ცალსახადა არაეფექტური ქმედებაა, ვინაიდან სააგენტო, ნაცვლად საერთო კონტროლისა, მხოლოდ ორიენტირებულია ვიწრო სეგმენტზე, რაც თავის მხრივ, ხელს არ უწყობს დასახელებული მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარებას, – აღნიშნულია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინფორმაციაში.

ბპნ

2018 წლის 1-ელი ნოემბრიდან ტაქსების უნებართვოდ საქმიანობა დასჯადი იქნება

2018 წლის 1-ელი ნოემბრიდან ტაქსების უნებართვოდ საქმიანობა იქნება დასჯადი, – ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ, მაია ბითაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, უკვე 2019 წლის ბოლოდან ამოქმედდება ტაქსების ერთიან ვიზუალთან დაკავშირებული მოთხოვნები.

– ტაქსების კომპანიებისთვის არანაირი რეგულაციები არ დგება. ტაქსების რეგულირებასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული კანონი უკვე ძალაშია შესული და 1-ელი ნოემბრიდან უნებართვოდ საქმიანობა იქნება დასჯადი. ვფიქრობთ, რომ მომავალი კვირის ბოლოს საკრებულოში განსახილველად გავაგზავნით იმ დოკუმენტს, რომელიც ტაქსების კომპანიების, ბიზნესომბუდსმენის და შესაბამისი პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ტაქსების რეგულირების პირველ ეტაპს, რომელიც განებართვიანების მარტივ ფორმას შეეხება. დაახლოებით 50-დან 100 ლარამდე ეღირება ჰიბრიდულ და ჩვეულებრივ ავტომობილებზე ერთჯერადი ტაქსის ნებართვა, რომელიც მძღოლმა ყოველთვის თან უნდა იქონიოს. ასევე მძღოლის ვალდებულება იქნება, რომ ყვითელი მანიშნებელი ნიშანი განათავსოს მანქანის სახურავზე.

ოქტომბერში დაზუსტდება ის ინფორმაცია, თუ რა მოეთხოვებათ მძღოლებს 2019 წლის ბოლოდან. ვსაუბრობ ერთიან ვიზუალზე, ფერსა და მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე, – განაცხადა მაია ბითაძემ.

ბპნ

დეველოპერებისთვის ჰაერის დაბინძურებაზე რეგულაცია მისაღებია, თუმცა ჯარიმების დაწევას ითხოვენ

– მოქალაქეობრივი თვალსაზრისით რეგულაციები კარგია. რაც შეეხება ბიზნეს, ყველა მშენებელს იოლად უნდა საქმის გამოსვლა. მიმაჩნია, რომ სწორია მერის გადაწყვეტილება. მთავარია იყოს ადმინისტირების კონტროლი, თუ როგორ განხორციელდება რეგულაციები. იმიტომ, რომ არიან კომპანიები რომლებიც დღესაც აბინძურებენ ჰაერის და ყურადღებას არ აქცევენ. ალბათ ამის გამო იყო მერის გადაწყვეტილება ასეთი მკაცრი“,– აცხადებს სამშენებლო დეველოპერული კომპანიაGDG+ ის დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე აცხადებს. მისი თქმით, მერის გადაწყვეტილება სწორი და დროულია.

კალაძის განცხადებით, დედაქალაქში ჰაერის მტვრით დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, რეგულაციები უნდა გამკაცრდეს.

მერმა დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე ყურადღება გაამახვილა სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისა და განთავსების მიმართულებით, ასევე ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე.

დეველოპერული კომპანიის დამფუძნებლის თქმით, აღნიშნული რეგულაცია გადამზიდავი კომპანიებისგან უნდა იყოს მიმართული:

– ნაგავი როდესაც გამაქვს, მანქანას ბადეს ვუკეთებ. ამ დროს მერიამ მანქანის მეპატრონე უნდა დააჯარიმოს, რადგან ისინი არიან პასუხისმგებლები გატანაზე. ამიტომ სანქციები სამშენებლო სექტორისკენ არ უნდა იყოს მიმართული და პასუხი იმ გადამზიდავ კომპანიებს უნდა მოეთხოვოთ. რაც შეეხება მომარაგებას, ცემენტის მანქანა მოდის გადახდილი და მტვერი მთელ ქალაქში ტრიალებს, ეს რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ასევე აღსანიშანვია ის, რომ ჯარიმების რაოდენობა ძალიან მაღალია, ამიტომ ნელ-ნელა ჯობია დავწიოთ და იმის შემდეგ გავზარდოთ, როდესაც ადამიანები შეეჩვევიან ცვლილებებს, – აცხადებს ბეჟან წაქაძე.

კომერსანტი

ივანე მაჭავარიანი: „როდესაც საუბარია მცირე მთავრობაზე, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება“

– როდესაც საუბარია მცირე მთავრობაზე, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, – განაცხადა ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა, ივანე მაჭავარიანმა გაერთიანებულ საკომიტეტო მოსმენაზე სიტყვით გამოსვლისას. მისი თქმით, სახელმწიფო მმართველობის ციფრულ ტექნოლოგიაზე მაქსიმალური დაფუძნება ბიუროკრატიას შეამცირებს და დამატებით თანხებს გამოათავისუფლებს.

– დღეს მსოფლიოში პრაქტიკულად, მეორე ინფორმაციული რევოლუცია ხდება – პირველი იყო ინტერნეტი და ახლა არის ბლოკჩეინი, რომელსაც მეორე ინტერნეტსაც კი უწოდებენ. ეს ტექნოლოგია ჩვენ უნიკალურ საშუალებას გვაძლევს. შეგვიძლია და გვაქვს ამის ბუნებრივი უპირატესობა, რომ მივიღოთ სარგებელი და ამაზე მოვახდინოთ კაპიტალიზაცია, – განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

მისი თქმით, სარგებელს მიიღებს კერძო სექტორი, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ციფრულ ტექნოლოგიას მაქსიმალურად დაეფუძნოს სახელმწიფო მმართველობა.

– თუ სახელმწიფო მმართველობას მაქსიმალურად დავაფუძნებთ ციფრულ ტექნოლოგიაზე, ეს გამოგვითავისუფლებს ბევრ ბიუროკრატიულ პროცესს და ამავდროულად, თანხებს, რომელსაც შემდეგ, შევეცდებით, მივმართოთ იმ პრობლემების დასაბალანსებლად და მოსაგვარებლად, რომელიც მოსახლეობას აქვს, – განაცხადა ივანე მაჭავარიანმა. მისივე თქმით, ციფრული მმართველობა მცირე მთავრობის კონცეფციის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება.

კომერსანტი

„ყაზტრანსგაზ-თბილისს“ შესაძლოა 40 მლნ აშშ დოლარის ვალი ახალი ინვესტორის სასარგებლოდ ჩამოაჭრან

– ყაზტრანსგაზს აქვს აღიარებულია ვალდებულება, ჩამოვწერთ თუ არა არ ვიცით, მაგრამ ყველა ვარიანტში სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ, ჩვემ გვექნება საუბარი მთავრობის შიგნით და აუცილებლად მივალთ რაღაც შედეგამდე. დღეს არ ვარ მზად გითხრათ ჩამოვაწერთ თუ არა ვალს, – ეს განცხადება ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა ივანე მაჭავარიანმა პარლამენტში გამართულ საკომიტეტო მოსმენზე გააკეთა.

როგორც ცნობილია ყაზტრანსგაზ – თბილისს სახელმწიფოს მიმართ დაახლოებით 100 მილიონი ლარის ვალი აქვს.

ყაზტრასნსგაზ – თბილისთან“ დაკავშირებით ფინანსთა მინისტრს კითხვა უმრავლესობის დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ დაუსვა:

– ახალი კომპანია, რომელიც აპირებს იყიდოს ყაზტრასნსგაზი, იმას თუ ჩამოეწერება ეს ვალი? ყაზახებს არ ჩამოვაწარეთ ვალი. არსებული მექანიზმით ერიცხებოდა ჯარიმები და ვალი არ მცირდებოდა. რა ინფორმაციაც მაქვს, ყაზახეთის პრეზიდენტის დონეზე იყო შეთანხმება მიღწეული, რომ ყაზტრანსგაზი უნდა ეყიდა ქართულ კომპანიას. მასთან იყო ეს პირობა, რომ ჩამოაწერდნენ ვალს. მაქვს კითხვა, თუ ამ ვალს ყაზახებს ვაწერთ და ისინი თანახმა არიან 40 მილიონად გაყიდონ თავისი კომპანია, მაშინ გადაიხადოს სახელმწიფომ და გასაყიდად თავიდან გაიტანოს, რადგან ეს აქტივი 40 მილიონ დოლარზე გაცილებით ძვირი ღირს – 120-140 მილიონი აშშ დოლარი. იმ დაზოგვაზე რაზეც ვლაპარაკობთ მცირე მთავრობის შემთხვევაში, ორ წელიწადში 100 მილიონი დაიზოგებაო, აქ ჩანს, რომ 200 მილიონ ლარი დაიზოგება ორ თვეში, – აცხადებს დავით ჭიჭინაძე.

ყაზტრანსგაზ-თბილისის წილი იყიდება . საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფსა და ყაზმუნაიგაზს შორის ყასტრანგაზ-თბილისში“ წილის გასხვისების შესახებ პრინციპული თანხმობა მიღწეულია – ამის შესახებ განცხადება, საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა 2018 წლის მარტში გაავრცელა.

გარიგების მასშტაბურობიდან გამომდინარე, აუცილებელია, საბოლოო იურიდიული დეტალების დაზუსტება, რაც გარიგების გასაფორმებლად გარკვეულ დამატებით დროს მოითხოვს. როგორც საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში აცხადებენ, ითვალისწინებენ საჯარო ინტერესს და საბოლოო სამართლებრივი პროცესის დასრულების შემდეგ, გარიგების შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას გაავრცელებენ.

შეგახსენებთ, ყაზახური ორბეს-ის ცნობით, გარიგების ღირებულება 40 მლნ დოლარია.

„ყაზტრანსგაზმა“ თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია „თბილგაზი“ 12 მილიონ 500 ათას დოლარად 2006 წელს შეიძინა. ამის შემდეგ კი მოვლენები ასე განვითარდა:

ყაზტრანსგაზმა“ თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია „თბილგაზი“ 12 მილიონ 500 ათას დოლარად 2006 წელს შეიძინა. ამის შემდეგ კი მოვლენები ასე განვითარდა:

2009 წლის მდგომარეობით „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ 80 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა, აქედან 68 მილიონი – საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ. კომპანიის მიერ დაგროვილი ვალების ამოღების მიზნით, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2009 წელს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ სპეციალური მმართველი დანიშნა. ყაზახური მხარე წლებია კომპანიის მენეჯმენტში დაბრუნებას ცდილობს. 2015 წლის ოქტომბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ყაზტრანსგაზი“ ქართულ მხარეს ინვესტიციების დაბრუნებას სთხოვდა. 2016 წლის სექტემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ყაზტრანსგაზ თბილისს“ შესაძლოა, მფლობელი შეცვლოდა. მაშინ ახალ მფლობელად „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი სახელდებოდა, თუმცა, მაშინ ჯგუფში ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაადასტურეს. 2017 წელს კი „ყაზტრანსგაზმა“ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე დავით ბეჟუაშვილია. კომერსანტის ინფორმაციით, „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აუდიტი არის შესული და ფინანსურ მდგომარეობას სწავლობს.

კომერსანტი

ლევან დავითაშვილი: არაკანონიერი ჭრის შედეგად ტყის სტრუქტურა უარესდება

– მერქნული რესურსის სწორად გამოყენება, არ გულისხმობს იმას, რომ მოსახლეობას აუკრძალოთ ტყეზე წვდომა, არამედ იმას, რომ ჩვენ სწორად ვმართოდ ჩვენი რესურსი, – ეს განცხადება სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის მინისტრობის კანდიდატმა ლევან დავითაშვილმა საკომიტეტო მოსმენაზე გააკეთა.

– ჩვენ დიდი რესურსი გვაქვს ტყეში. განახლებადობა საქართველოს ტყეებს აქვს საკმაოდ დიდი. მაგრამ არასწორი, არაკანონიერი ჭრის შედეგად ჩვენს სტრუქტურას ტყეებისას ვაუარესებთ. შესაბამისად ის მერქანი რომელიც იჭრება არ უნდა იჭრებოდეს. ეს ერთადერთ შემთხვევაში მოგვარდება თუ სატყეო სააგენტო შეასრულებს იმ როლს რაც უნდა შეასრულოს. ის იქნება ტყის მართვის ერთადერთი ორგანო, რომელიც ტყეში მერქანს დაამზადებს სწორი პრინციპების მიხედვით. თუმცა ეს არ გულისხმობს იმას რომ კერძო ბიზნესს განვითარების საშუალება არ იქნება. სატყეო სააგენტო მისცემს მაშ შორის ადგილობრივ მოსახლეობას

ჩართვის საშუალებას, რომ სწორად დაამზადონ რესურსი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციური კერძო კომპანიები ჩამოყალიბდება რომლებიც დაასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას. ეს უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მისი თქმით, ბევრ კერძო კომპანიას აქვს სურვილი რომ მოიპოვოდ არამერქნული რესურსები: „ამისთვის ჩვენ შევიმუშავეთ პოლიტიკა როგორ უნდა მოხდეს არამერქნული რესურსების განკარგვა ლეგალურად. ეს დოკუმენტი ასახულია კანონმდებლობაში. საკანონმდებლო ინიციატივები იქნება წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში.

კომერსანტი

მაია ცქიტიშვილი რომან გოცირიძეს: „ალტაკომის“ ჩაშლილი ტენდერიდან 25 მილიონი ევროს დაბრუნებას ვცდილობთ

– ინფრასტრუქტურის სისტემაში არის სერიოზული კორუფცია. ამაზე საუბრობს ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი და თქვენი მთავრობის წევრებიც. 4 წელია რაც კორუფციაზე ლაპარაკი დაიწყო მაგრამ ამსითვის არავინ დასჯილა, – ეს განცხადება პარლამენტის წევრმა რომან გოცირიძემ დღეს გააკეთა, როცა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა ახალი მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე მსჯელობდა.

მან სკანდალური ტენდერის დეტალები გაიხსენა: „ყველას კარგად ახსოვს უკრაინული ფირმის შემთხვევა როცა ასეულობუთ მილიონი ლარი გადაირიცხა გზების მშენებლობისათვის და ეს ფირმა გაქრა. არც საბანკო გარანტია არც სხვა რაიმე მექანიზმი იყო ჩადებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დაზღვევა და ხალხის ფული არ დაკარგულიყო. იბადება კითხვა ვინ ჩაატარა ეს ტენდერი? სად არიან ეს ადმინები? ვინმე დაისაჯა თუ არა? მიდის თუ არა გამოძიება?

– პირველ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არსებობს. ჩვენ არ გვაქვს დადასტურებული ფაქტი, რომ უწყებაში კორუფცია არსებობს. თუმცა რა თქმა უნდა, როდესაც ასეთი ტიპის და ამხელა თანხების ხარჯვა მიმდინარებოს განსაკუთრებით ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილში, ასეთი კითხვები არსებობდა და სავარაუდოდ სხვა დროსაც იარსებებს. შესაბამისად ჩვენი ამოცანაა კორუფციული რისკები მაქსიმალურად შევამციროთ და მივიღოთ ისეთი ზომები, რომ ეს რისკები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, – ეს პასუხი გასცა ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატმა მაია ცქიტიშვილბა რომან გოცირიძეს.

რაც შეეხება ჩაშლილ საგზაო ტენდერს, სამინისტრო კომპანიისთვის ჩარიცხული 25 მილიონი ევროს დაბრუნებას ცდილობს:

– რაც შეეხება იმ ტენდერს, რომელიც თქვენ ახსენეთ ეს არის უკრაინული კომპანია „ალტკომი“, რომელთანაც საბანკო გარანტია წარდგენილი იყო, უბრალოდ ამ საბანკო გარანტიის ამოქმედება დღემდე ვერ მოხდა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ. დღესაც უკრაინის ეროვნულ ბანკს მივმართეთ მათ შორის დიპლომატიური არხებითაც. თუმცა მე არ ვარ უფლებამოსილი პირი და არ მგონია ჩემი მხრიდან კონკრეტული პასუხის გამოკვეთა სწორი იყოს. არც მე და არც ჩემი წინამორბედი პრო-

კურორები არ ვართ იმისათვის, რომ ჩვენ კორუფციის ფაქტი დგვედგინა. შესაბამისად ჩვენი ამოცანაა თუ სამუშაოს პროცესში რაიმე ფაქტი ცნობილი გახდება კანონმდებლობის შესაბამისად ვიქნები ვალდებული შესაბამის ორგანოებს მივმართო, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ ეს რისკები მომავალში შევამციროთ, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

შიდა ფრენებზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა არც ერთ კომპანიას არ მიუღია

საქმე ეხება მომავალი 4 წლის განმავლობაში შიდა ავიარეისების სუბსიდირებას, რაზეც უწყება 49,67 მილიონი ლარის დახარჯვას გეგმავს. ტენდერის შედეგად კი უნდა შერჩეულიყო ის კომპანია, რომელიც უწყების მიერ განსაზღვრულ მიმართულებებზე, მის მიერვე დადგენილი გრაფიკითა და პირობებით მგზავრთა საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანას მოემსახურებოდა.

ტენდერის პირობების მიხედვით, გამარჯვებულ კომპანიას უნდა უზრუნველეყო მგზავრთა გადაყვანა ერთი არანაკლებ 15-ადგილიანი და ერთი არანაკლებ 30-ადგილიანი საჰაერო ხომალდით. სულ კი 4 წლის განმავლობაში მცირე ზომის საჰაერო ხომალდით 2.248 რეისი, საშუალო ზომის საჰაერო ხომალდით კი 2.487 რეისი უნდა შეასრულოს.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, რეისები უნდა შესრულებულიყო მესტია – ქუთაისი – მესტია; ნატახტარი – მესტია – ნატახტარი; ნატახტარი – ამბროლაური – ნატახტარი და თბილისი – ბათუმი – თბილისის მიმართულებით. ავიაბილეთების რეალიზაცია კი შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ფასით უნდა განხორციელებულიყო.

აღსანიშნავია, რომ ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე შიდა რეისებს ასრულებს ავიაკომპანია „აკ -ეარ ჯორჯია“. მანამდე შიდა ფრენებს რამდენიმე კომპანია ახორციელებდა.

ბპნ

ბანკების მიმართ პრეტენზიები გაიზარდა — რას ჩივის 2.047 მომხმარებელი

კომერციული ბანკების მიმართ მომხმარებელთა პრეტენზიები გაიზარდა.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წლის 5 თვის მონაცემებით, ბანკებში 2.047 საჩივარი შევიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ით მეტია. 2017 წლის პირველ 5 თვეში ბანკებში 1.472 პრეტენზია დაფიქსირდა.

2018 წლის 5 თვის პრეტენზიების სამეულში შედიან:

1) მიმდინარე ანგარიში – 782 განაცხადი
2) სამომხმარებლო სესხი – 404 განაცხადი
3) საკრედიტო ბარათი – 196 განაცხადი

პრეტენზიების შინაარსის მიხედვით, ჯამში შემოსული პრეტენზიების დაახლოებით ნახევარი ტრანზაქციებს, ჯარიმებსა და საკომისიოებს უკავშირდება.

ამასთან, ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, კომერციულ ბანკებში შესული და სრულად განხილული პრეტენზიებიდან მხოლოდ 17,8% (366 განაცხადი) იქნა მიჩნეული საფუძვლიანად ბანკების მიერ და მათი გადაწყვეტა მომხმარებლების სასარგებლოდ მოხდა, 74,5%-ის შემთხვევაში (1.526 განაცხადი) ბანკმა პრეტენზია უსაფუძვლოდ მიიჩნია, 106 შემთხვევის განხილვა კი კომერციულ ბანკებს არ დაუსრულებია.

რაც შეეხება 2017 წელს, შარშან ბანკებში 3.665 საჩივარი შევიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28,2%-ით მეტია. 2016 წელს ბანკებს პრეტენზიით 2.857-მა ადამიანმა მიმართა.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ცხელი ხაზი ეროვნულ ბანკში 2011 წლიდან მოქმედებს. პრეტენზიების სტატისტიკაც მას შემდეგ იწარმოება.

ბპნ

რა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს წლის ბოლომდე

ეროვნულმა ბანკმა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“ დაამტკიცა.

მათ შორის ამ წესში საუბარია საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობაზეც, რისი დაკმაყოფილებაც ორგანიზაციებს მოუწევთ. კერძოდ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 5 ივლისის ბრძანების თანახმად, მისო-ების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე არანაკლებ 500 ათასი ლარი; 2019 წლის 30 ივნისამდე კი არანაკლებ 1 მლნ ლარი უნდა იყოს.

– ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან: მათ შორის აწარმოონ გამჭვირვალე, უტყუარი და სრული ფინანსური ანგარიშგება, დაიცვან საჯაროობის პრინციპი; არ დაუშვან თავიანთი განაღდებული კაპიტალის და სარეზერვო ფონდის შემცირება ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, – აღნიშნულია წესში.

ბპნ

თბილისში, ელიას უბანში, 20 წლის ახალგაზრდა მოკლეს

თბილისში, ელიას უბანში, 20 წლის ახალგაზრდა მოკლეს.

შემთხვევა 12 ივლისს ღამით მოხდა. დაჭრილი ახალგაზრდა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ არამიანცის საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

11 წლის რუსთაველი მოზარდი, რომელსაც 1 თვის წინ დენმა დაარტყა, გარდაიცვალა

11 წლის რუსთაველი მოზარდი, რომელიც 15 ივნისს დაშავდა, 12 ივლისს გარდაიცვალა.

ინფორუსთავის ცნობით, მოზარდი ავტოფარეხზე ადიოდა, როდესაც დენმა დაარტყა და დაბლა ჩამოაგდო.

ბიჭი თავიდან „კლინიკა რუსთავში“, მოგვიანებით კი იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს. მას რამდენჯერმე გაუჩერდა გული, იყო კომაში და რჩებოდა მართვით სუნთქვაზე.

11 წლის მოზარდი 12 ივლისს გარდაიცვალა.

ზესტაფონთან 3 ტრაილერი ხრამში გადავარდა

ზესტაფონთან სამი სატვირთო ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა და დაჯახების შედეგად ტრაილერები ხრამში გადავარდნენ.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე მძღოლები ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდნენ.

რუსთავი-თბილისის ავტობანზე სატვირთო მოტოციკლს დაეჯახა

რუსთავი-თბილისის ავტობანზე მომხდარი ავარიის შედეგად 36 წლის მამაკაცი დაშავდა.

მოტოციკლი და სატვირთო ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახნენ. შემთხვევის შედეგად 36 წლის მამაკაცმა თავის არეში დაზიანებები მიიღო. დაშავებული სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა, კლინიკა რუსთავში გადაიყვანა. მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, მას ყველა საჭირო სამედიცინო მომსახურება უტარდება.

ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

შსს-მ ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

ადვოკატი: „რაიან სმიტი მკვლელებს იცნობდა, მათმა ხეობაში ნახვამ შეაშინა. მალხაზი იმიტომ არ მოკლეს, რომ ყველაფერი ამ ბავშვს დაბრალებოდა“

„არსებობენ ადამიანები, რომლებმაც ხადას ხეობაში შავი ავტომობილი დაინახეს“

სმიტების ოჯახი განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ მალხაზ კობაურის ადვოკატი, დავით გირგვლიანი ამბობს, რომ მკვლელები რაიან სმიტს იცნობდნენ.

როგორც „ნიუპოსტს“ გირგვლიანმა განუცხადა, მკვლელობის დღეს, სავარაუდოდ, სმიტებს ნაცნობები შეხვდნენ, რომელთა დანახვამაც მოკლული მამაკაცი შეაშინა.

– ვადასტურებთ ორი უცხო მამაკაცისა და შავი ფერის ავტომობილის არსებობას, ხეობაში იმყოფებოდა ის ორი ადამიანი, რომლებმაც მოკლეს სმიტების ოჯახი. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არის მკვლელობის თვითმხილველი და არა – მკვლელობასთან რაიმე სახის შემხებლობასთან მყოფი პირი. კობაურისთვის უცნობი პირები ქართულად საუბრობდნენ. რაიან სმიტი მათ, სავარაუდოდ, იცნობდა, რადგან მათმა დანახვამ შეაშინა და ნაბიჯიც კი ააჩქარა, თუმცა ისინი მალევე დაეწიენენ, – განაცხადა დავით გირგვლიანმა.

„ნიუპოსტის“ კითხვაზე, რატომ დატოვა იმ ორმა პირმა 19 წლის თვითმხილველი ცოცხალი, ადვოკატმა უპასუხა, რომ „მათი მიზანი იყო, მკვლელობა ამ ბავშვს დაბრალებოდა“.

– ამ ვერსიას ხომ აქვს არსებობის უფლება?! თუმცა ამის დადასტურება, იყვნენ თუ არა ნამდვილად უცხო ადამიანები ხადას ხეობაში, მთავარ პროკურატურას და გამოძიებას არც კი უცდია, – ამბობს ადვოკატი.

დავით გირგვლიანის განცხადებით, დაკავებისას მალხაზ კობაურმა ეს ვერსია პოლიციელებს უთხრა, თუმცა სამართალდამცავებმა მას არ დაუჯერეს.

– მას სთხოვდნენ აღიარებით ჩვენებას, იყო ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ. ერთი სიტყვით, მალხაზს ყველაფერი ისე გააკეთებინეს, როგორც მათ აწყობდათ, – განმარტა უფლებადამცველმა.

„ნიუპოსტის“ კითხვაზე, როგორ მიიყვანა ბრალდებულმა ბავშვის ცხედართან სამართალდამცავები, გირგვლიანმა აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხი მკვლელობაში ბრალდებულს აქვს, თუმცა, გამოძიების ინტერესიდან გამომდინარე, ამაზე დღეს ვერ ისაუბრებს.

– მინდა ყველა ჟურნალისტმა ამ საკითხზე სწორი აქცენტი გააკეთოთ. კითხვას განა არ ვპასუხობ, აღნიშნულ შეკითხვას ჯერ-ჯერობით არ ვპასუხობ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, – დასძინა ადვოკატმა.

დავით გირგვლიანი არ პასუხობს კიდევ ერთ კითხვას, რაიან სმიტისა და მისი ვაჟის მკვლელობა „უცნობ პირებთან კონფლიქტის შემდეგ“ იმავე წუთებში მოხდა თუ არა.

– გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ამ საკითხზე ამ ეტაპზე ვერ ვისაუბრებ. შემდეგ ეტაპებზე ამ და სხვა საკითხებზე დაცვის მხარე გააკეთებს განცხადებებს, – განმარტა მან.

მისი თქმით, არსებობენ ადამიანები, რომლებმაც შავი ავტომობილი დაინახეს. ეს პირები გამოკითხულები არ არიან.

– ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, არსებობენ ადამიანები, რომლებმაც შავი ავტომობილი დაინახეს. ეს ადამიანები გამოკითხულები არ არიან. დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც საქმეში ფედერალური ბიუროს გამომძიებლები ჩაერთვებიან, ისინი მაქსიმუმს გააკეთებენ, რათა ყველაფერი გამჟღავნდეს, – განაცხადა ადვოკატმა.

დავით გირგვლიანი არ გამორიცხავს, რომ ბრალდებულმა ჩვენება აშშ-ის ფედერალური ბიუროს გამომძიებლებს მისცეს.

– ჩემი სურვილია და მოვითხოვ, რაც შეიძლება მალე მოხდეს ჩემი შეხვედრა აშშ-ის ფედერალური ბიუროს გამომძიებლებთან. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, ჩვენება მისცეს სწორედ აშშ-ის ფედერალური ბიუროს გამომძიებლებს.

ჩვენი მოთხოვნაა, რომ ყველა ექსპერტიზა, რაც ამ საქმის ირგვლივ არის ჩასატარებელი და დანიშნული, ამერიკის ფედერალური ბიუროს მიერ ჩატარდეს ამერიკაში, მათ კვლევით ლაბორატორიებსა და საექსპერტო ბიუროებში. მე, როგორც ბრალდებულის ადვოკატი, მზად ვარ პირდაპირ დებატებში დავუჯდე საქმის პროკურორს, ნებისმიერ პიროვნებას, ვისაც კი სურვილი აქვს და ვუპასუხო ნებისმიერ შეკითხვას, რომელიც არ იქნება დამაზიანებელი გამოძიებისთვის.

ქართული გამოძიების კომპეტენტურობა და მიუკერძოებლობა არის საკითხი, რაც ხორავას ქუჩის საქმემ გვაჩვენა. ქართულ გამოძიებას თავად ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები რომ არ ენდობიან, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. რატომ არანაირ ზომას არ იღებს გამოძიება იმის დასადგენად, თუ ვინ არის ორი უცნობი პიროვნება, საიდან აღმოჩნდა ორი ადამიანი ხადას ხეობაში? – განაცხადა ადვოკატმა.

***

გამოძიების ობიექტურად ჩატარების იმედი აქვთ მარნეულში, სადაც ფიქრობენ, რომ „სმიტების მკვლელობაში ფიგურირებს კიდევ ორი პირი, რომელიც იმალება“.

ეს ვერსია მოისმინა ჟურნალისტმა ნანა ფიცხელაურმა, რომელიც ხადას ხეობაში მომხდარი სასტიკი მკვლელობის საქმეზე მუშაობს.

– მთელი მარნეული შოკირებულია, ვერაფერს უკავშირებენ მომხდარს. შევხვდი ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც ლორა სმიტთან მეგობრობდა და რომელმაც მითხრა, მარნეულში არის ასეთი ვერსია, რომ ეს დანაშაული, 19 წლის მალხაზ კობაურს მარტო არ ჩაუდენია და მასთან ერთად იმყოფებოდა კიდევ ორი პირი, რომლებმაც, როგორც მითხრეს, გაქცევა მოახერხეს და მათი სამძებროო ღონისძიებები მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, ვერც იმას დავადასტურებ, რამდენად რეალურია ქალბატონის მონაყოლი, თუმცა ასეთი ვერსია არსებობს. რაც ოფიციალურად ვიცით, სასტიკ მკვლელობას არ ჰყავს თვითმხილველები, როგორც ეს პროკურორმა ბრძანა, არსებული მტკიცებულებებით დანაშაულში სხვა პირების მონაწილეობა ამ ეტაპზე არ დასტურდება, – განუცხადა „ნიუპოსტს“ ფიცხელაურმა.

„კოკა კობალაძეს სახეზე დანა დაადეს და უთხრეს, თუ არ იტყოდა, თვალს ამოუგდებდნენ“

12 ივლისს საღამოს თათა დავითულიანმა ფეისბუქში მისი შვილის, 20 წლის კოკა კობალაძის პოლიციელების მიერ სასტიკად ცემის შესახებ დაწერა.

ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სასტიკად ნაცემია და მას პოლიციის თანამშრომლები მათთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდებას აიძულებდნენ.

– პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი. სასტიკად არის ნაცემი. როგორც იგი აღნიშნავს, პოლიციელებმა სცემეს. სამწუხარო ფაქტი ის არის, რომ პოლიციელები სახლში შეუვარდნენ და ისე სცემეს. მოტყუებით შეავსებინეს ოქმი, ესაუბრებოდნენ მამაზე, თუ რა ინფორმაცია ჰქონდა და ამ ოქმის დასრულების შემდეგ, როდესაც ხელი მოაწერინეს, ამის შემდეგ სცემეს და არაადამიანურად მოექცნენ, ვგულისხმობ იმას, რომ სახეზე დანა დაადეს და უთხრეს, თუ არ იტყოდა, თვალს ამოუგდებდნენ და ასეთი ზეწოლის ქვეშ აიძულებდნენ, მიეცა მათთვის სასურველი ინფორმაცია.

რა არის მათთვის სასურველი ინფორმაცია, ჩვენთვის უცნობია. ისეთი კითხვები იყო, რომ თითქოსდა არ იცოდნენ სად იყო მამა. ეს ტაქტიკა იყო, სტრატეგია თუ რა, ამას, იმედია, გამოძიება დაადგენს, – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

როგორც ადვოკატი აღნიშნავს, საქმეში შესაძლებელია იმ ვიდეოჩანაწერების ამოღება, სადაც ფიქსირდება, თუ ვინ შევიდა კოკა კობალაძის საცხოვრებელ სახლში.

მისივე თქმით, არსებობს მოწმე, რომელიც ამოიცნობს კობალაძის ბინაში შესულ პირებს.

– არის მოწმე, რომელიც ნამდვილად შეესწრო აღნიშნულ ფაქტს, ასევე ჩვენ გვაქვს მტკიცებულებები, შემოხეული მაისური, ტანსაცმელი, რომელიც ეცვა კოკა კობალაძეს. სამედიცინო ცნობა არსებობს, რომ ნამდვილად ტვინის შერყევა აქვს. ასევე ჩვენი ინფორმაციით, არის ვიდეოჩანაწერი, სადაც მათ მანქანა გააჩერეს და შემდეგ ეს ორი პიროვნება, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, გადაადგილდა, სადაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, ეს უკვე ერთობლიობაში იძლევა საფუძველს, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მოახდინეს ზეწოლა, – აცხადებს ადვოკატი.

20 წლის კოკა კობალაძე ამჟამად ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მკურნალობს. ექიმის თქმით, პაციენტს სახის არეში მსუბუქი, ზედაპირული დაზიანებები აღენიშნება.

– პაციენტს სახის არეში მსუბუქი ზედაპირული დაზიანებები აღენიშნებოდა. ჩატარებულმა კვლევებმა რამე განსაკუთრებული დაზიანება არ გამოავლინა. მონიტორინგის მიზნით ნევროლოგიურ განყოფილებაშია მოთავსებული, – განაცხადა ექიმმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავდასხმაში პოლიციელების მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფ. უწყებაში აცხადებენ, რომ ინციდენტის შესწავლა დაიწყო.

ავარია კახეთში — დაიღუპა 1 და დაშავდა 3 ადამიანი

გომბორის უღელტეხილზე ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა – ავარიას 1 ადამიანი ემსხვერპლა. დაშავდა ავტომობილში მყოფი 3 ადამიანი. დაშავებულები სასწრაფო დახმარების ჯგუფმა თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შემთხვევა 12 ივლისს, გვიან ღამით მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიკვდილი გამოიწვია.

ჩაქვში 8 წლის ბიჭი გადაარჩინეს

ჩაქვში მაშველმა დავით ქარცივაძემ 8 წლის ბიჭი გადაარჩინა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, მოზარდი სანაპიროდან რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით ზღვაში იყო შესული და დახმარებას ითხოვდა.

მისივე ცნობით, ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ლონდონში ჰაერში ტრამპის კარიკატურა გაუშვეს

13 ივლისს აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ლონდონში ჩავიდა.

ბრიტანეთის დედაქალაქი მას საპროტესტო აქციებით დახვდა. ლონდონში ბრიტანელმა აქტივისტებმა ჰაერში მცირეწლოვანი ბავშვის 6-მეტრიანი გასაბერი ბუშტი გაუშვეს, რომელიც ტრამპს განასახიერებს.

ბუშტს ტრამპის გაბრაზებული გამომეტყველება, მისთვის დამახასიათებელი ვარცხნილობა და კანის ფერი აქვს, ხელში სმარტფონი უჭირავს.

ამგვარად აქტივისტებს ტრამპის ფეთქებადი ხასიათისა და სოციალური ქსელების მიმართ ინტერესისთვის ხაზგასმა სურდათ.

ამ ფაქტს დონალდ ტრამპიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ახლა ის ლონდონში თავს არასასურველ სტუმრად გრძნობს, თუმცა ეს ვიზიტის გასაუქმებლად საკმარისი მიზეზი არ არის.

– შეიძლება, თქვენ არ გიყვარდეთ, მაგრამ ახლა აშშ-ის პრეზიდენტი ვარ, – განაცხადა ტრამპმა.

პაშინიანი: „კორუფციონერებს შევანჯღრევთ და ქვეყნისთვის სოლიდურ თანხას მივიღებთ“

სომხეთი ევროკავშირის მხრიდან ფინანსურ მხარდაჭერას არ საჭიროებს, ვინაიდან ქვეყანაში არიან გამოცდილი კორუფციონერები, რომლებსაც თუ კარგად შეანჯღრევ, ქვეყნისთვის სოლიდურ თანხას მიიღებ.

ამის შესახებ ბრიუსელში გამართულ ბრიფინგზე სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ პაშინიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, სომხეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ვინმეს მხრიდან მატერიალურ მხარდაჭერაზე არ არის დამოკიდებული.

– მე ვთვლი, რომ კორუფციას საკმაოდ ეფექტურად ვებრძვით. როდესაც ერთმა ევროპელმა მაღალჩინოსანმა მითხრა, რომ მზად არიან, ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში სომხეთს გარკვეული თანხა გამოუყონ, მე დავუსახელე მას ცნობილი კორუფციონერის გვარი და ვუთხარი, რომ თუ ამ ადამიანს კარგად შევანჯღრევთ, მისი ჯიბეებიდან ზუსტად ამ თანხას მივიღებთ, – განაცხადა პაშინიანმა.

რაც შეეხება იმ თანხას, რომელსაც ევროპელი კოლეგები სომხეთს სთავაზობდნენ, პაშინიანმა ევროპელ მაღალჩინოსანს ამ თანხის „შავი დღისთვის“ შენახვა ურჩია.

სოლსბერიში მოწამვლის ახალი ფაქტი დაფიქსირდა

ინგლისის ქალაქ სოლსბერიში ნოვიჩოკით მოწამვლის ახალი ფაქტი დაფიქსირდა. რესტორან ზიზიში, სადაც თავის დროზე მამა-შვილი სკრიპალები სადილობდნენ, ახალი დაზარალებული აღმოაჩინეს. ის 30 წლის მოქალაქეა. ბრიტანეთის პოლიცია ატარებს ღონისძიებებს, რათა ქალაქში პანიკა და არეულობები არ დაიწყოს.

იულია ტიმოშენკოს რეიტინგი იზრდება

ორგანიზაცია „ბატკივშჩინის“ ლიდერ იულია ტიმოშენკოს რეიტინგი გაიზარდა. 14%-დან მან 17,8 %-ს მიაღწია.

ტიმოშენკო პატრიოტული და პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსია. ის მხარს უჭერს უკრაინის ინტეგრაციას ნატოში, ევროკავშირში, ამასთან, ეროვნული ხელისუფლების შექმნისა და მართლწესრიგის გაძლიერების მომხრეა. მისი აზრით, უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები უკრაინული არმიისა და უშიშროების გასაძლიერებლად.

– ჩვენი ინტეგრაცია ნატოში მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი, – განაცხადა მან.

მეორე ადგილზეა უკრაინის თავდაცვის ექსმინისტრი, ასევე პროდასავლური ორიენტაციის ანატოლი გრიცენკო.

პეტრო პოროშენკოს რეიტინგი ოდნავ გაიზარდა. პოროშენკომ 8,9%-ით მეოთხე ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა.

პრორუსული ორიენტაციის იური ბოიკო 8.2%-ით მეოთხე ადგილზეა.

ასადის არმიამ ქალაქი დარაა აიღო

სირიის სამთავრობო ჯარებმა ქალაქი დარაა დაიკავეს. ის იორდანიის საზღვართან მდებარეობს და უდიდესი სტრატეგიული და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

ასადის წინააღმდეგ აჯანყება სწორედ დარაადან დაიწყო.

ქალაქისათვის ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს პარტიზანებმა უკან დაიხიეს. ასადელებს დარაას აღებაში როგორც რუსული ავიაცია, ასევე სამხედროებიც დაეხმარნენ.

ქალაქს, ასადის მომხრე ფორმირებებთან ერთად, რუსული სამხედრო პოლიციაც აკონტროლებს.

პუჩდემონს ესპანეთს გადასცემენ

კატალონიელ სეპარატისტების ლიდერ პუჩდემონს ესპანეთს გადასცემენ. სათანადო გადაწყვეტილება გერმანულმა სასამართლომ მიიღო.

პუჩდემონს საბიუჯეტო სახსრების მითვისება დაუმტკიცდა. მეორე ბრალდება, შეიარაღებული აჯანყების ინსპირირება, სასამართლოში არ დამტკიცდა.

განჯაში აქციაზე 11 მონაწილე დააკავეს

აზერბაიჯანის ქალაქ განჯაში, სადაც მანამდე ქალაქის მერ ელმარ ველიევზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა, არეულობების 11 მონაწილეა დაკავებული.

ამის შესახებ ქვეყნის შსს-ს, გენერალური პროკურატურისა და უშიშროების სამსახურის ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.

– დაკავებულია 11 დამნაშავე, 1 მათგანი ლიკვიდირებულია, – ნათქვამია განცხადებაში.

10 ივლისს პოლიციამ განჯაში დაშალა არასანქცირებული მიტინგი და 40-მდე ადამიანი დააკავა. შეტაკებების შედეგად 2 პოლიციელი დაიღუპა.

მომიტინგეები ქალაქის მერზე თავდასხმაში ეჭვმიტანილების გათავისუფლებას ითხოვდნენ.

პაკისტანელ პოლიტიკოსს თავს მეხუთედ დაესხნენ

4 ადამიანი დაიღუპა და 31 დაშავდა

პაკისტანში ულტრამემარჯვენე პოლიტიკური მოძრაობების ალიანსის ლიდერის წინასაარჩევნო მიტინგის მახლობლად მომხდარი აფეთქების შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა და 31 ადამიანი დაშავდა.

აფეთქება 13 ივლისს დილით ქალაქ ბანუში, მუტაჰიდ მაჯლის-ე-ამალ აჰრამ ხან დურანის წინასაარჩევნო მიტინგის ჩატარების ადგილიდან 50 მეტრში მოხდა.

ადგილზე 40 პოლიციელი მივიდა. დაშავებულები უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დურანის განცხადებით, ეს მასზე რიგით მეხუთე თავდასხმაა.

– პოლიცია მაფრთხილებდა, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. თუმცა ახლა აფეთქებამ მხოლოდ ჩემი ავტომობილი გაანადგურა, – განაცხადა დურანიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერებისგაუმჯობესება,ტვინისკვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

ლ სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

დინამოსა და ჩიხურას ფრეები ევროპა ლიგაზე

დუნაისკა სტრედა (სლოვაკეთი)-დინამო (საქართველო) 1:1

ღუნაისკა სტრედა. მოე ახენა

0:1 ზივზივაძე (15), 1:1 ბაიო (30)

დუნაისკა: მაცეი, ჰუკი, სატკა, ზაჰუმენსკი, კოსტნა, ჰერცი, ლიუბიჩიჩი, ვიდა (ტრეტიაკოვი 67), სიმჩაკი (კალმარი 46), ბაიო, პაჩინდა (დივკოვიჩი 79)

დინამო: ბულისკერია, ხარაბაძე, ლოჩოშვილი, კობოური, რუხაია, ნინუა, ივანისენია, ივანიშვილი (ერგემლიძე 46), კიტეიშვილი, შულაია (ქარდავა 81), ზივზივაძე (ვაწაძე 73)

სლოვაკეთის ქალაქ დუნაისკა სტრედაში უეფას ევროპა ლიგის პირველი რაუნდის პირველი მატჩი გაიმართა, რომელშიც ადგილობრივმა სტრედამ თბილისის დინამოს უმასპინძლა.

მოლ არენა შეხვედრას პირთამდე გავსებული ტრიბუნებით შეეგება, რამაც მასპინძლებს მუხტი მისცა და შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და საწყის 5 წუთში ორჯერ კუთხურიც მოიპოვეს. მატჩის მე-8 წუთზე ერიკ პაჩინდას დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა სტუმართა კარის ძელს.

მე-15 წუთზე კი თბილისელებმა შეხვედრაში ანგარიში გახსნეს. ოთარ კიტეიშვილის იდეალური პასის შემდეგ ბუდუ ზივზივაძემ ზუსტი დარტყმით დაამწუხრა მასპინძლები.

სლოვაკებმა გაშვებული გოლის შემდეგ გაშმაგებით შეუტიეს და სამიოდე წუთში ვაკუნ ბაიოს აქტიურობა დემეტრე ბულისკერიამ განმუხტა. 30-ე წუთზე კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს დინამოელი მცველები განზე განუდგნენ, სამაგიეროდ, ბაიომ ზუსტად დაახვედრა თავი და ანგარიში გაათანაბრა. პირველი ტაიმი 1:1 დასრულდა.

მეორე ნახევარი განახლდა და დემეტრე ბულისკერიამ საკმაოდ სახიფათო სიტუაცია განმუხტა – კრისტოფერ ვიდას ახლო მანძილიდან დარტყმული აუღო. ორიოდე წუთში დინამომ კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხა, თუმცა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ზუსტი დარტყმა კი ნიკა ნინუას და მიხეილ ერგემლიძის აქტიურობას მოჰყვა.

59-ე წუთზე უკვე თბილისელები გადაურჩნენ გაშვებულ გოლს. მასპინძელთა სახიფათო დარტყმული ზევიდან გადასცდა დემეტრე ბულისკერიას კარს. კახი კაჭარავამ 72-ე წუთზე გოლის ავტორ ზივზივაძის ნაცვლად მათე ვაწაძე შეუშვა.

შეხვედრის ბოლო წუთებზე მასპინძლებმა უმატეს შეტევებს და თბილისელთა კარი კიდევ ერთხელ გადაურჩა ხიფათს. საპასუხოდ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროს პატრიკ მაცეიმ მოიგერია ოთარ კიტეიშვილის ტექნიკურად დარტყმული ბურთი. ამას კი მათე ვაწაძის მიერ საგოლე შანსის ვერგამოყენება მოჰყვა. დინამოელთა შემტევი ნინუას პასის შემდეგ იდეალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და თითქმის ცარიელ კარში მისი დარტყმული ბურთი ხარიხამ მოიგერია და შეხვედრაც დასრულდა.

საპასუხო შეხვედრას თბილისში დინამო არენა 19 ივლისს უმასპინძლებს.

კახა კაჭარავა:

– ვფიქრობ, დებიუტი ჩვენთვის კარგი იყო. გოლი გავიტანეთ და დავწინაურდით. ამის შემდეგ მოწინააღმდეგეს შანსი ჰქონდა და ჩვენი დიდი შეცდომის შედეგად ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში მომენტები ორივე გუნდმა შექმნა. ბოლოს გამარჯვების გოლის გატანაც შეგვეძლო, ვერ გავიტანეთ და ყველაფერი თბილისში გადაწყდება.

მარკო როსი:

– წინასამატჩო პრესკონფერენციაზე ვთქვი, რომ შეხვედრის კარგად დაწყება იქნებოდა მნიშვნელოვანი და მე-15 წუთზე გოლი გავუშვით. ცოტა ხანი ვერ გამოვერკვიეთ, არ ვიცოდით, როგორ გვემოქმედა. მერე დინამო დავჯაბნეთ. სტატისტიკისათვის გადახედვის დრო არ მქონდა, მაგრამ ფაქტია, ვდომინირებდით. 7-8 მომენტი ვერ გამოვიყენეთ და ამისათვის კინაღამ დავისაჯეთ. უიმედოდ არ ვართ. თბილისში კარგ მატჩს ველი. იმედია, საქართველოში უფრო გაგვიმართლებს.

ჩიხურა (საქართველო)-ბეითარი (ისრაელი) 0:0

თბილისი. მიხეილ მესხი

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მაისაშვილი, ჩიკვაიძე, მარკოზაშვილი (სარდალიშვილი 57), ბუღრიძე, დობროვოლსკი (ჩიხლაძე 62), მეგრელიშვილი, გაბედავა, ლექვთაძე (ბუხაიძე 79)

ბეითარი: ნიტცანი, ზეჰავი, კუელარი (სიროსტეინი 90), კაჰილა, პელეგი, საბო, კეტლჯენსი, კრიეფი, ბარჰონი (ინბრუმი 58), სილვესტრი (ვერენე 65), ვერედი

უეფას ევროპა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში საჩხერის ჩიხურამ იერუსალიმის ბეითარს უმასპინძლა და საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში უგოლო ფრეს დასჯერდა.

მატჩის მიმდინარეობისას საკმაოდ ცხელოდა, რამაც თამაშის მსვლელობაზეც იქონია გავლენა. პირველ ნახევარში ფეხბურთელებს გადაადგილება უჭირდათ. შესაბამისად, მატჩიც არცთუ მაღალ ტემპში წარიმართა. ერთადერთი მომენტი, რომელიც პირველ ნახევარში შეიძლება გამოვარჩიოთ, ქართულ კლუბს ჰქონდა. საჯარიმოს მისადგომებიდან ირაკლი ბუღრიძე ურტყამდა კარის მიმართულებით, მაგრამ ბურთი საკმაო მანძილით აცდა ნითზანის კარს.

მეორე ნახევარში თამაშის სცენარი არსებითად არ შეცვლილა. ჩიხურა ბურთს მეტად აკონტროლებდა და შეტევების ორგანიზებას ცდილობდა. ებრაელები კი, ძირითადად, კონტრშეტევებზე ცდილობდნენ თამაშის აწყობას.

შეხვედრის ბოლო წუთები სრულიად საჩხერელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ თვალსასაჩინო აღარაფერი მომხდარა და მატჩიც გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

სოსო ფრუიძე:

– არ იქნება ჩემგან მართებული მსაჯებზე საუბარი. თუმცა ვფიქრობ, მათ გარკვეულ მომენტებში საკამათო გადაწყვეტილებები მიიღეს. რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი მოგება იყო და დღევანდელ მატჩში თითქმის ყველა რესურსი გამოვიყენეთ, რათა შეტევა გაგვეძლიერებინა. მინდა ვთქვა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ ახალგაზრდა ფეხბურთელებით – რევაზ ჩიტეიშვილისა და ირაკლი ბუღრიძის თამაშით, რომლებმაც ევროტურნირების საკვალიფიკაციო მატჩში პირველად ითამაშეს და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ჩიხურა არ არის გუნდი, რომელიც მეორე ნომრად თამაშობს, ამიტომ განმეორებით შეხვედრაში, ჩვენი მიზანი გამარჯვება იქნება და გოლების გატანას შევეცდებით.

გაი ლუზონი:

– ჩვენ შეხვედრა შეცდომებით დავიწყეთ, რაც შემდეგ მთლიან თამაშზე აისახა. შეცდომები იყო თითქმის ყველა პოზიციაზე, ხარვეზები ჰქონდა დაცვას, ვერ ვაკონტროლებდით ცენტრს და თავდასხმაში უფრო სახიფათოდ უნდა გვეთამაშა. მეორე ტაიმში გავაუმჯობესეთ თამაში. გავხდით უფრო საშიში, უფრო კომპაქტური და მოედნის ცენტრში დავიჭირეთ ბურთი. გვქონდა რამდენიმე მომენტი, როცა შეიძლებოდა გოლი გაგვეტანა, თუმცა ეს მომენტები ვერ გამოვიყენეთ. სამწუხაროდ, ისრაელში მოგებით ვერ ვბრუნდებით, ყველაფერი ერთ კვირაში გადაწყდება. რაც მთავარია, მეორე მატჩში უნდა გავაუმჯობესოთ თამაშის ხარისხი, უნდა მოვუმატოთ ორგანიზებულობის დონეს და ეს უნდა აისახოს ანგარიშზე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტიაგუ სილვა რუსეთში სიკვდილს გადაურჩა

**ბრაზილიის ნაკრების კაპიტნის, ტიაგუ სილვასთან ერთად ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ერ ერ ერ

პეპ გვარდიოლა: „მესი, ლევანდოვსკი, დე ბრუინე“

თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთმა თვალსაჩინო სპეციალისტმა, პეპ გვარდიოლამ, ერთ-ერთ ავტორიტეტულ სპორტულ გამოცემასთან თანამედროვე ფეხბურთთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო კომენტარი გააკეთა.

კატალონიელის თქმით, თანამედროვე ფეხბურთში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, რამაც თავის მხრივ ფეხბურთელის მიმართ მოთხოვნები გაზარდა.

გვარდიოლას 3 საუკეთესო ფეხბურთელის დასახელება თხოვეს.

– ჩემთვის ლეო მესი, რობერტ ლევანდოვსკი და კევინ დე ბრუინი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან, თითოეულ მათგანთან მუშაობის გამოცდილება მაქვს და კარგად ვიცი, რა შეუძლიათ მათ, – თქვა გვარდიოლამ.

შეგახსენებთ რომ პეპის, როგორც მწვრთნელის, ურთიერთობა ლეო მესისთან დაიწყო და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელს არგენტინელი ფეხბურთელის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

პეპის ბარსელონური ეპოქის დასრულებამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მიუნხენურის დაწყება გამოიწვია. გვარდიოლამ ბავარიულ კლუბში რობერტ ლევანდოვსკი დაიმატა და ცენტრფორვარდის პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში მოაგვარა. პოლონელი მოთამაშე ბაიერნისთვის შეუცვლელი ფიგურა გახდა და გუნდის თითოეული წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო.

გერმანიაში ყოფნის დროს გვარდიოლა ხშირად აღნიშნავდა, რომ რობერტი მოედნის გარეთაც პროფესიონალი სპორტსმენი იყო, რაც მისი წარმატების მთავარი მიზეზი გახლდა.

ახლა კი პეპი მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელია, იმ გუნდის, რომლის უდავო ლიდერი ბელგიელი კევინ დე ბრუინეა. კევინმა ბრიტანულ ფეხბურთს აღღო ძალიან ადვილად აუღო და დღეს არა მარტო ინგლისის, არამედ, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო შუახაზელია.

ხამესსა და ბოატენგს ბაიერნიდან წასვლა უნდათ

მას შემდეგ, რაც მიუნხენის ბაიერნში ნიკო კოვაჩი მივიდა, გუნდში მან თავისი ფილოსოფია შეიტანა. ვერ გეტყვით, რამდენად ემუქრებათ ფეხბურთელებს მისი მისვლის შემდეგ პრობლემები, მაგრამ 2 მათგანი უკვე მზად არის, ბავარიული კლუბი დატოვოს.

ბაიერნის შემტევი ნახევარმცველი, ხამეს როდრიგესი, გერმანიაში დარჩენის სურვილს არ გამოთქვამს და შესაძლოა, ესპანეთში დაბრუნდეს.

ავტორიტეტული ესპანური გამოცემები იტყობინება, რომ 27 წლის კოლუმბიელს მადრიდის რეალში სურს დაბრუნება, ვინაიდან „სამეფო კლუბის“ ახალი თავკაცი, ხულენ ლოპეტეგი, მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

„რეკორდმაისტერს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – ნიკო კოვაჩი, რომელიც ბაიერნში სხვადასხვა სათამაშო სისტემის დანერგვას აპირებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ხამესის როლს გუნდში ნაკლებად ხედავს.

მიუხედავად ყველაფრისა, პრიორიტეტული პოზიცია მაინც ბაიერნს უჭირავს, რომელსაც მოთამაშის კონტრაქტის გამოსყიდვის პუნქტის გააქტიურება შეუძლია. ხამესი ბავარიელებს გასული წლის ზაფხულში ორწლიანი იჯარის წესით შეუერთდა და სადებიუტო სეზონის 39 თამაშში 8 გოლი გაიტანა, 14 საგოლე პასი გააკეთა.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბაიერნის ცენტრალურმა მცველმა, ჟერომ ბოატენგმა, პარი სენ ჟერმენის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას მიაღწია.

პარიზული პრესის ინფორმაციით, ფრანგული კლუბი 29 წლის გერმანელ მცველს პირადი კონტრაქტის დეტალებზე მოელაპარაკა – ბოატენგი პსჟ-ში წელიწადში 8 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.

ახლა კი პსჟ-ს ბაიერნთან აქვს დასასრულებელი მოლაპარაკებები. ბოლო ინფორმაციით, პარიზელები „რეკორდმაისტერს“ საწყის ეტაპზე 35 მილიონ ევროს შესთავაზებენ.

თუ გერმანული გრანდის ბოსები ამ წინადადებას არ მიიღებენ, მაშინ მოლაპარაკებები გაგრძელდება და პსჟ-ს თანხის გაზრდა მოუწევს.

ჟერომ ბოატენგმა ამ სეზონის მსვლელობისას არაერთხელ აღნიშნა, რომ შესაძლოა კარიერაში ახალი გამოწვევა მიიღოს, ხოლო ბაიერნი მზად არის, შეელიოს ჟერომს, რომელმაც ტრავმების გამო ბოლო 2 წელიწადში ძალიან ბევრი თამაში გამოტოვა.

იმ შემთხვევაში თუ ბოატენგი მიუნხენურ კლუბს მართლაც დატოვებს, მაშინ მიუნხენელები ახალგაზრდა, სწრაფი და უნივერსალური მცველის დამატებას შეეცდებიან.

ნახევარმცველი ტიაგო ალკანტარა კი ტრანსფერზე არ დადგება. ბოლო დროს ესპანელი ნახევარმცველის მომავლის შესახებ ბევრი ინფორმაცია ვრცელდებოდა, განსაკუთრებით ლოთარ მათეუსის სიტყვების შემდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ ალკანტარა ბაიერნისთვის მისაღები ფეხბურთელი არ არის. რის შემდეგ ფეხბურთელს რეალს, ბარსელონასა და სიტის აქტიურად უკავშირებდნენ.

მართალია, ტიაგო კლუბის სამმავლო გეგმებში რჩება, მაგრამ ბაიერნი შეეცდება, თავისი 3 ცენტრალური ნახევარმცველი ამ ზაფხულს კლუბიდან გაუშვას.

პირველი კანდიდატი მათ შორის ახალგაზრდა პორტუგალიელი რენატუ სანჩესია, რომელსაც ამ ზაფხულს სხვა კლუბში გადაბარგება ემუქრება, თუ ის ახალ მწვრთნელზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს წინასასეზონო თამაშებში.

ბაიერნის გაცილებით გამოცდილი ფეხბურთელები, პირველ რიგში, ხავი მარტინესი, არტურო ვიდალი ან თომას მიულერი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

ასტროპროგნოზი

14 ივლისისთვის

ვერძი – ზედმეტი ხელგაშლილობა დაგაზარალებთ. სიამაყე საღად აზროვნებაში ხელს გიშლით. **კურო** – ნებისმიერ საქმეს თავს გაართმევთ, ოღონდ ზომიერება დაიცავით. **ტყუპები** – წარმატებული დღეა. ბიზნესში გიმართლებთ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ახალი, თქვენთვის უცნობი საქმის კეთება მოგიხდეთ. საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პოზიტივი და ნეგატივი ერთმანეთს ენაცვლება. დიდ გეგმებს ნუ შეიმუშავებთ. **ქალწული** – შორს გამგზავრება სხვა დროისათვის გადადეთ. დაუმთავრებელი საქმეები დღეს უნდა დაასრულოთ. **სასწორი** – აქტიურობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ღრიანკალი** – დრო სწორად გაანაწილეთ. მთავარი საქმით დაიწყეთ. პირად ცხოვრებაში დაშვებული შეცდომა დაუყოვნებლივ გამოასწორეთ. **მშვილდოსანი** – ზნეობრივი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. შეუვალობა და უკომპრომისობა სავალდებულოა. **თხის რქა** – დღის პირველ ნახევარში სიურპრიზს ელოდეთ. მიღებული ინფორმაცია დიდად არ გაგახარებთ. **მერწყული** – ნერვებს გაუფრთხილდით. ენერგია დაზოგეთ. ნუ აჰყვებით ჭორებსა და ცრუ განგაშს. **თევზები** – წინასწარ ნურაფერს მოიმოქმედებთ. მოსალოდნელია ახალი, პერსპექტიული შემოთავაზება.

15 ივლისისთვის

ვერძი – საკუთარ თავისუფლებას ნურაფერზე გაცვლით. ინტუიცია არ გიღალატებთ. **კურო** – პატიოსნება, ზნეობა და შინაგანი თავისუფლება დღის დევიზია. აკეთეთ ის საქმე, რომელიც კარგად გამოგდით. **ტყუპები** – საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **ლომი** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ გარგებთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ. **ქალწული** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. ყველანაირად ხელი შეგეშლებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ დაბრკოლებებს იოლად გადალახავთ. საღამოს გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ. **ღრიანკალი** – დღეს უმთავრესია, შეინარჩუნოთ სულიერი წონასწორობა. ყოველგვარ ცდუნებას თავი აარიდეთ. **მშვილდოსანი** – ოჯახის წევრებთან მეტი დრო გაატარეთ. აქტიური დასვენება დადებით შედეგს გამოიღებს. **თხის რქა** – საქმის გარჩევები, კამათი და სტრესი არ აგცდებათ, თუმცა მაინც ყველაფერი თქვენს მოთმინებაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ყოველმხრივ წარმატებული დღეა. თქვენი შრომა აუცილებლად სათანადო შედეგს გამოიღებს და დაფასდება. **თევზები** – ნუ ეცდებით, თქვენი მოვალეობები სხვას გადააბაროთ. ასეთი საქციელი კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ავსტრალიელს ციფრი შეეშალა და მსხვილი თანხა უცნობს გადაურიცხა

ავსტრალიელმა საბანკო ანგარიშის ანაზღაურების დროს ციფრებში შეცდომა დაუშვა და შემთხვევით მნიშვნელოვანი თანხა სხვა ბანკის უცნობ კლიენტს გადაურიცხა.

პატარა ოჯახურმა კომპანიამ მშენებლობის დაწყების წინ მიწის ნაკვეთის გასუფთავებაზე შეკვეთა მიიღო. სამუშაოს შესრულების შემდეგ მან შემკვეთს ანგარიში გადაუგზავნა, რომელიც 25 ათასი ავსტრალიური დოლარის გადახდას დაჰპირდა, თუმცა ფული კომპანიის ანგარიშზე არ ჩაირიცხა.

როგორც გაირკვა, ანგარიშის განაღდების დროს შემკვეთს ექვსნიშნიანი კოდიდან ერთი ციფრი შეეშალა. ამის შედეგად ფული სხვა ბანკში გადაირიცხა, სადაც ისეთივე ნომრიანი ანგარიში არსებობდა.

– ეს უბრალო შეცდომა იყო, – განაცხადა შემკვეთმა. მან თავის ბანკს მიმართა, მაგრამ იქ უპასუხეს, რომ უკვე ვერაფრით დაეხმარებოდნენ. ბანკში, სადაც ფული გადაირიცხა, განაცხადეს, რომ მიმღების თანხმობის გარეშე გადარიცხვის გაუქმებას ვერ შეძლებდნენ, ხოლო ის გაურკვეველი მიზეზების გამო კავშირზე არ გამოდიოდა.

მას შემდეგ, რაც ამ ისტორიით სატელევიზიო ახალი ამბები დაინტერესდა, მიმღებმა ბანკმა დაკარგული თანხის ნაწილის – 15 ათასი ავსტრალიური დოლარის დაბრუნება მოახერხა.

„თევზის პედიკიურმა“ ამერიკელს ფეხებზე ფრჩხილები დააკარგვინა

ნიუ იორკის მცხოვრებმა ქალმა ფეხებზე ფრჩხილები ეგზოტიკური სპა-პროცედურის შედეგად დაკარგა, რომელსაც „თევზის პედიკიური“ ჰქვია. ასეთი პროცედურების დროს იყენებენ კარპისებრთა სახეობის თევზს, სახელწოდებით Garra rufa. ეს პროცედურა იმაში მდგომარეობს, რომ პატარა თევზები კლიენტს ფეხის ტერფებზე მკვდარ კანს აცლიან.

20 წლის ამერიკელმა გოგონამ ფეხების უცნაურ დაავადებასთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ექიმს მიმართა. მან გოგონას ონიჰომადეზისის არატიპური ფორმა აღმოუჩინა – დაავადება, რომლის დროსაც ფრჩხილები ზრდას წყვეტს, მტვრევადი ხდება და კანს სცილდება. მოგვიანებით გოგონა მიხვდა, რომ პრობლემები ეგზოტიკური სპა-პროცედურების შემდეგ დაეწყო. მკურნალი დერმატოლოგის აზრით, ამის მიზეზს სწორედ მინიატურულ თევზებთან კონტაქტი წარმოადგენს, თუმცა დასნებოვნების მექანიზმი ჯერჯერობით უცნობი რჩება.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულება მე-19 საუკუნის საქართველოში; 2. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს“ შტაბ-ბინა; 3. ოსმალთა სახელწოდება ევროპაში; 4. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება; 5. დამუხტული ელექტრონული ნაწილაკების ამაჩქარებელი რეაქტორი; 10. რამე ნაკეთობის შემცირებული ნიმუში, მოდელი; 11. პოპულარული პარკი თბილისში; 12. ქართული მხატვრული ფილმის „დაკარგული სამოთხის“ კინორეჟისორი; 13. აეროპორტი ბუქარესტში; 16. ქართველი მხატვარი – გობელენისტი; 17. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 19. ჟანგბადის ნაკლებობით გამოწვეული სულის ხუთვა; 21. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 23. ვინჩენცო ბელინის ოპერა.

თარაზულად: 6. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში, გამოგონებაში; 7. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 8. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 14. სიმღერის შესრულების იტალიური მანერა; 15. ეკლესიის მნათეს ძველი სახელწოდება; 20. გადასახდელსახურავიანი ძველებური ეტლი; 22. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 25. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 26. თურქული აბანო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მუზა; 2. როდეო; 3. იმაგო; 4. ოძეკი; 5. დომინო; 6. რეციდივი; 8. რეზერვაცია; 10. ნოქალაქევი; 11. სირაქლემა; 14. ხერესი; 15. ჰამამი; 16. კანიო.

თარაზულად: 1. მოდრიჩი; 4. ორდინარი; 7. ზონდი; 9. კორნი; 12. სოკერი; 13. გზირი; 14. ხახული; 17. მარალი; 18. ალექსანდრია; 19. ჩარდაში; 20. შოპენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფერხუღლი; 2. საფიხვნო; 3. ალოტროპია; 4. ნეოლითი; 5. დეპორტაცია; 10. ბორანი; 11. ფეხბურთი; 12. იმერეთი; 13. დიზაეინო; 16. პარამეტრი; 17. ჯაყელები; 19. ელტიტუდა; 21. კენზო; 23. პუნში.

თარაზულად: 6. თედიაშვილი; 7. მერჩულე; 8. კულუხი; 9. ერისტიკა; 14. დილიჟანი; 15. პრეამბულა; 18. კათხა; 20. თაკვერი; 22. კოპტები; 24. ბეშუმი; 25. შარტრეზი; 26. ტოშიბა.

აწყურის ტაძარზე სარეაბილიტაციო სამუშაოები საგანგაშო დარღვევებით მიმდინარეობს

ამ განცხადებას არქიტექტორი გოგოთურ მისრიაშვილი აკეთებს და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს მისი რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობაში ადანაშაულებს:

– სოს!

აწყურის ღმრთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაცია-რესტავრაციის პროექტი შეიქმნა 2008 წელს, ხოლო 2015 წელს დაკორექტირდა.

2016 წლის აპრილიდან დაწყებულია აწყურის ღმრთისმშობლის ტაძრის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობს საგანგაშო დარღვევებითა და ვანდალიზმის ფაქტებით.

აწყურის ღმრთისმშობლის საკათედრო ტაძარი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ღირსშესანიშნავი ძეგლია. ამდენად, საყურადღებოა და უკვე გადაუდებელიც ძეგლის რეაბილიტაციის ბედით დაინტერესდეს ფართო საზოგადოებაც, რომლის ინფორმირებასაც ემსახურება ეს პოსტი.

სამწუხაროდ და ძეგლის საზიანოდ, ჩემი, როგორც პროექტის ავტორისა და არქიტექტურული ზედამხედველის რჩევები და რეკომენდაციები ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში არ გაითვალისწინა არც შემსრულებელმა კომპანიამ და არც ძეგლთა დაცვის სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა. უგულებელყოფილი იყო ჩემი რეგულარული ანგარიშები, სადაც ასახულია ძეგლზე მიმდინარე სამუშაოების მძიმე დარღვევები, რომელიც საჭიროებდა მყისიერ რეაგირებას. ამ ანგარიშებში ასახულ პრობლემატიკას პუნქტების სახით საჯაროდ ვაქვეყნებ:

1. შემსრულებელი სამშენებლო კომპანიის შერჩევა უნდა მომხდარიყო საპროექტო ჯგუფისა და კომპეტენტური პირების აზრის გათვალისწინებით, არქიტექტურული ძეგლის მნიშვნელოვანებისა და სირთულიდან გამომდინარე, რაც არ მოხდა და სარეაბილიტაციო სამუშაოები სააგენტოს გენერალური დირექტორის, ბატონი ნ. ანთიძის მხარდაჭერით ჩაბარდა კომპანია „ივერთმშენს“, რომელმაც ვერ ითანამშრომლა საპროექტო ჯგუფთან.

2. ფიზიკური სამუშაოების დაწყებისთანავე პროექტის კონსტრუქტორთა ჯგუფს, რომელიც მზად იყო გაეწია ძეგლზე საავტორო საზედამხედველო სამუშაოები, კომპანია „ივერთმშენის“ ხელმძღვანელი დაუპირისპირდა და ჩაანაცვლა თავისი წარმომადგენლით, რომელიც ვერ აკორექტირებდა სამუშაოების პროცესში ძირითადი კონსტრუქციული პროექტის რიგ პრობლემურ კვანძებს.

3. საავტორო არქიტექტურულ ზედამხედველობას გარკვეული პერიოდი ვასრულებდი ა(ა)იპ არქიტექტურული აზრის განვითარება „ერდო“-ს არქიტექტორ-რესტავრატორი გოგოთურ მისრიაშვილი. რესტავრაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაოების კვალიფიციურად განსახორციელებლად უშუალოდ ვმონაწილეობდი ფიზიკურ სამუშაოებში, ბურჯების მარკირება და დაშლა-აწყობა. ჩემი მოთხოვნა იყო, რომ კომპანია „ივერთმშენის“ ხელმძღვანელს შეეცვალა ბურჯების პნევმატური ჩაქუჩით არაპროფესიონალურად გადამუშავებული ქვები, რაც არ სრულდებოდა კატეგორიულად. მხოლოდ საგენტოს წარმომადგენლის მოთხოვნის შემდგომ გახდა კომპანია იძულებული, მოეხდინა სვეტებისა და ბურჯების ქვების დემონტაჟი.

4. სვეტებისა და ბურჯების ადგილზე ზუსტად დასასმელად საჭირო იყო ტრიანგულაციის პრინციპით ავტოკად პროგრამაში შესრულებული გეგმიდან მათი სიზუსტით გადმოტანა-გადამოწმება, რაც არ შესრულდა.

5. ჩემი მოთხოვნის მიხედვით, კირის ჩასაქრობად უნდა დამზადებულიყო რკინის მართვად გადასაადგილებელი წყალგაუმტარი რეზერვუარები, მაგრამ ადგილზე დამხვდა ტაძრის ჩრდილოეთ ფასადთან მიწაში მოწყობილი ბეტონის ორმო, რომლიდანაც კირიანი წყალი გაედინებოდა მიწაში, სავარაუდოდ, არქეოლოგიურ ფენებში. კირის ჩაქრობა ამ ფორმით არქიტექტურულ ძეგლთან და არქეოლოგიურ უბანთან ახლოს დაუშვებელია. ამასთან ერთად, ორმოს ამოღება არ იყო შეთანხმებული არც პროექტის ავტორთან და არც არქეოლოგთან. საგანგებოდაა აღსანიშნავი ის, რომ ტაძრის რესტავრაციისას რიგ ადგილებში დუღაბად გამოიყენება კირ-ცემენტი, რომელიც, საერთაშორისო ქარტიების თანახმად, საერთოდ აკრძალულია.

6. პროექტირების პროცესში ჩემ მიერ მარკირებულ და აზომილ იქნა სოფლის გაღმა, მტკვრის მეორე ნაპირთან გატანილი ტაძრის კუთვნილი 4000-მდე ქვა, რომელიც ექსელის პროგრამაში განთავსდა. ნოუთბუქის გამოყენებით შესაძლებელია ადგილზე, ძეგლზე სწრაფად მოვიძიოთ, ეტაპობრივად გადავიტანოთ და მოვათავსოთ ქვები ტაძრის წყობაში მოძებნა შესაძლებელია: მდებარეობის, მარკირების ფერის, ტიპის, მარკირებული ქვის ნომრის, ქვის კლასიფიკაციის, ვარგისიანობის, ქვის გაბარიტული ზომების, ფოტოს, შაბლონისა და ცალ-ცალკე გაბარიტული ზომების მიხედვით. ამგვარად, საჭირო ქვების მოსაძებნად აუცილებელია კომპიუტერული უნარებისა და უშუალოდ ექსელის პროგრამის მცოდნე სპეციალისტი ადგილზე. ამ პროგრამის დახმარებით ჩვენ ავიცილებდით ქვების ქაოტურ გადატანას სარესტავრაციო უბანზე და მათ დამატებით დაზიანებას. სამწუხაროდ, არ მოხდა ტაძრის ავთენტური ქვების გამოყენება რეაბილიტაციის პროცესში, რომელთა 90% ისევ ტაძრისგან მოშორებით არის დატოვებული და ვეღარ იქნება დაბრუნებული თავდაპირველ ადგილებზე, ვინაიდან ტაძრის კორპუსის უდიდესი ნაწილი უკვე ამოშენებულია ახალი ქვებით.

7. მეთოდურად სრულებით გაუმართლებელია ტაძრის სარკმლების ახლად შექმნილი ჩუქურთმებიანი საპირეების დამონტაჟება, მაშინ როდესაც გამოუყენებელია ეკლესიის ირგვლივ მიმოფანტული ავთენტური ორნამენტული ქვები. ასევე გამოუყენებლად ყრია მარკირებული ბურჯის ქვები, რომლის სანაცვლოდ თლიან ახალს.

მიუხედავად, ჩემი მრავალი ოფიციალური ანგარიშისა და პირად შეხვედრებში გამოთქმული რჩევებისა თუ შენიშვნებისა, როგორც ძეგლთა დაცვის სააგენტოში, ისე კომპანიის წარმომადგენლებთან, სარეაბილიტაციო სამუშაოები კვლავაც დიდი დარღვევებით სრულდება. ეს პრობლემები კი საპროექტო ჯგუფის იმთავითვე იგნორირებამ გამოიწვია.

ამგვარად, აწყურის ტაძრის რეაბილიტაცია სავალალო მდგომარეობაშია, განმკითხავი კი არავინაა!

ერთ-ერთ სახლში აღმოჩენილი ნახატები ხალხს ფიროსმანის ჰგონია

სოფელ ველისციხეში მდებარე ერთ-ერთ უძველეს საცხოვრებელ სახლში კედლის მხატვრობაა შემორჩენილი, რომელიც ადგილობრივებს ნიკალასი ჰგონიათ. კედლის მხატვრობის ფოტოები სოციალურ ქსელში თამაზ მარკოზაშვილმა გამოაქვეყნა:

– სოფელ ველისციხის ერთ ძველ საცხოვრებელ სახლში, ყოფილ დუქანში შემორჩენილია კედლის მხატვრობა, რომლის ავტორი უცნობია, ხალხს კი ფიროსმანის ნახატებად მიაჩნია.

ხატია ბუნიათიშვილი პარიზში ბასტილიის აღების დღეს კონცერტს გამართავს

14 ივლისს საფრანგეთი ბასტილიის აღების დღეს აღნიშნავს. წელს ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტი პარიზში ეიფელის კოშკთან გაიმართება.

ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი ბასტილიის აღების დღისადმი მიძღვნილ კონცერტში მიიღებს მონაწილეობას. ინფორმაციას ამის შესახებ ფრანგული მასმედია დიდი ხანია ავრცელებს.

კონცერტამდე ხატიამ ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალისთვის ფოტოები გადაიღო და ორიგინალური ფოტოსთვის იამაჰას როიალზე იპოზიორა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გარყვნილმა თავი უსინათლოდ გაასაღა და გამყიდველს ხელი მკერდში ჩაავლო

იაპონიის კანაგავას პრეფექტურის ქალაქ ხადანოში დაეპატიმრეს მამაკაცი, რომელმაც თავი უსინათლოდ გაასაღა, რათა მაღაზიის გამყიდველისთვის ხელები ეფათურებინა. ინციდენტი 28 თებერვალს ტოკიოში მოხდა. მამაკაცი ფრთხილად მიუახლოვდა დაზარალებულს. მან გოგონას აუხსნა, რომ ვერაფერს ხედავდა და სთხოვა, რომ ტუალეტამდე მიეყვანა. გზაში მამაკაცმა ფეხის გადაბრუნების იმიტაცია მოაწყო და იატაკზე დაეცა. როდესაც გამყიდველი მის დასახმარებლად დაიხარა, მან ხელი მკერდში სტაცა და შემდეგ გაიქცა. ქალმა სამართალდამცავებს მიმართა. სათვალთვალო კამერების ჩანაწერების შესწავლის შემდეგ, პოლიციაში ეჭვი გაუჩნდათ, რომ მამაკაცი უსინათლო სულაც არ იყო. გამყიდველთან გასაუბრებამდე, ის მაღაზიაში ადვილად გადაადგილდებოდა და გამყიდველ გოგონებს თვალს არ აცილებდა. ვიდეოჩანაწერი სამართალდამცავებს მამაკაცის ვინაობის დადგენაში დაეხმარა. ის 33 წლის ესუკე მიზოკამი აღმოჩნდა. მამაკაცი 9 ივლისს დააპატიმრეს. მან უკვე აღიარა გამყიდველზე თავდასხმის ფაქტი. ამჯერად პოლიცია არკვევს. ის სხვა ინციდენტებსაც ხომ არ უკავშირდება, რომლებსაც ტოკიოსა და კანაგავაში ჰქონდა ადგილი.

ვარშავის მახლობლად უზარმაზარ ვეფხვისებურ პითონს ეძებენ

ხუთმეტრიან ვეფხვისებურ პითონს ეძებენ ვარშავის მახლობლად. აღნიშნული ინფორმაცია ცხოველთა და ბუნების დაცვის სამსახურის გვერდზე განთავსდა. ცხოველთა დამცველებმა გველის ორმეტრიანი კანის მდინარე ვისლას სანაპიროზე აღმოჩენის თაობაზე შეტყობინება რამდენიმე დღის წინ მიიღეს. შემთხვევის ადგილზე მისვლის შემდეგ მათ შორიახლოს გველის კანის კიდევ ერთ, ამჯერად ხუთი მეტრისა და 30 სანტიმეტრის სიგრძის ფრაგმენტი იპოვეს, რომლის დიამეტრი თავის გაუთვალისწინებლად 50 სანტიმეტრს შეადგენდა. თავდაპირველად ცხოველთა დამცველებმა ივარაუდეს, რომ შესაძლოა გველის გამოცვლილი კანი ხუმრობით, რომელიმე გველების მოყვარულს დაეტოვებინა. თუმცა ვეტერინარის თქმით, გველმა კანი სწორედ იმ ადგილზე გამოიცვალა, ვინაიდან ის ახალია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პითონი მშიერია და აგრესიული. გველს უკვე რამდენიმე დღეა ეძებენ და ამ დროის მანძილზე ცხოველთა დამცველებს მანქანა ჩაეძირათ, რომელიც ექსტრემალურ პირობებში მუშაობისთვის არ იყო განკუთვნილი. მათ მოსახლეობას მოუწოდეს, ვისლას სანაპიროზე სეირნობისგან თავი შეიკავონ და იქ ღამით კარვებში ღამე არ გაათიონ, ვინაიდან გველს შესაძლოა მდინარე გადაეცურა და მეორე ნაპირზე გადასულიყო. პითონი უკიდურესად საშიში ბავშვების და შინაური ცხოველებისთვისაა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები. მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 ივლისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4403	ევრო — 2.8593
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2317	100 რუსული რუბლი — 3.9329

ამინდის პროგნოზი 14 ივლისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

კონსერვის ქილებზე მოსიარულე გოგონას ნამდვილი პროთეზები აჩუქეს

სირიელ გოგონას, რომელიც გადაადგილებას კონსერვის ქილების დახმარებით ახერხებდა, ნამდვილი პროთეზები აჩუქეს.

რვა წლის მაია მერხი უფეხოდ დაიბადა და იძულებული იყო, თვითნაკეთი პროთეზებით ესარგებლა, რომელიც მამამისმა მილებისა და თევზის კონსერვების ქილებისგან დაამზადა. როდესაც გოგონას ფოტოსურათი, რომელიც იდლიბში ლტოლვილთა ბანაკში ცხოვრობს, სოციალურ ქსელებში გამოჩნდა, ის თურქეთში გადაიყვანეს.

მაიასა და კიდევ ხუთი ბავშვის მამამ, მოჰამედმა, აღიარა, რომ იდლიბში ისინი ალეპოდან ჩავიდნენ.

– ჩვენ ბევრი სირთულე გადავიტანეთ, განსაკუთრებით – მშობლიური ქალაქიდან გამოქცევის შემდეგ. ვცხოვრობდით კარვებში. მაია სიარულს ვერ ახერხებდა და მოგვიხდა, ისეთი რამ მოგვეფიქრებინა, რომ ის სულ მიწაზე არ წოლილიყო, – ამბობს მოჰამედი.

ექიმებს იმედი აქვთ, რომ უახლოეს სამ თვეში გოგონა ნამდვილი პროთეზებით სიარულს ისწავლის.

ზოოპარკის თანამშრომელს ვეფხვი დაეხმარა შეყვარებულისთვის ხელის თხოვნაში

ავსტრალიის ზოოპარკის თანამშრომელმა გოგონას ხელი დამთვალიერებლებისა და ვეფხვის დახმარებით სთხოვა. ვიდეო, რომელიც მამაკაცის ერთ-ერთმა ახლობელმა გადაიღო, ფეისბუქში ზოოპარკის გვერდზე გამოქვეყნდა. ვიდეო რგოლისთვის თანდართული კომენტარის თანახმად, მამაკაცს ითანი ჰქვია, ხოლო გოგონას ელოიზი, ის ვეტერინარულ საავადმყოფოში მედდად მუშაობს. მტაცებლის ვოლიერთან ითანმა გოგონა ცენტრში დააყენა და იქ მყოფებს მოუყვა, რომ მათ ერთმანეთი თითქმის ორი წლის წინ სწორედ ამ ადგილას გაიცნეს. სანამ ის ლაპარაკობდა, ვოლიერში გამოჩნდა მამაკაცი, რომელსაც დიდი წითელი გული მოჰქონდა.

– მინდა რაღაც ვაღიარო, მაგრამ ამისთვის ირგვლივმყოფთა დახმარება დამჭირდება, – განაცხადა ზოოპარკის თანამშრომელმა. ის გოგონას წინ მუხლზე დაეშვა, დამთვალიერებლებმა კი წინასწარ გამზადებული საჰაერო ბურთები აწიეს, რომლებზე ასოებით გამოყვანილი იყო წარწერა „ცოლად გამომყვები?“ გოგონამ თანხმობით უპასუხა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– შენ კატას ვალერი რატომ დაარქვი?
– ჩემ ყოფილ ქმარს ერქვა...
– მის მოსაგონებლად?
– არა, დასაკოდად უფრო ხალისიანად მიმყავდა.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:
– გუშინ მძარცველი დამესხა თავს.
– მერე?
– ხელჩანთა წამართვა, მაგრამ მალევე უკან დამიბრუნა.
– ეტყობა სინდისმა შეაწუხა.
– არა, ასე მითხრა, ამაში რაიმეს როგორ პოულობო.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რატომ გაქვს ასეთი დაღლილი და დამწუხრებული გამომეტყველება?
– მუშაობა... მუშაობა... მხოლოდ მუშაობა... დილას და საღამოს სულ მუშაობა...
– და დიდი ხანია ასე მუშაობ?
– ხვალიდან ვიწყებ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ჩვენ ქვეყანაში წარმატებული პოლიტიკოსი რომ იყო, მხოლოდ სამი რამეა საჭირო.
– მაინც რა?
– სინდისი არ უნდა გაწუხებდეს, რომ მოიპარო; რკინის ნერვები უნდა გქონდეს, რომ ჩვეულებრივი ადამიანების გასაჭირმა არ შეგაწუხოს, მით უმეტეს, როდესაც იცი, რომ ამაში შენ ხარ დამნაშავე და მსახიობური ნიჭით უნდა იყო დაჯილდოებული, რათა ისეთი სახე მიიღო, რომ თითქოსდა თავადვე გჯეროდეს საკუთარი დაპირებების.

●●●

შვილი დედას ეკითხება:
– დედიკო, მარწყვი წითელია?
– ჰო, შვილო, წითელია.
– შავი წერტილებით?
– ჰო, ზოგს შავი წერტილები აქვს.
– და ულვაშები?
– შენ რა, ისევ ჭიამაია შეჭამე?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ბარსელონა ედენ აზარით დაინტერესდა

ბარსელონა ბოლო პერიოდში ჩელსის ფეხბურთელების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს. ჯერ იყო და კატალონიელები ვილიანით დაინტერესდნენ, ახლა კი ისინი აზარის შეძენას ცდილობენ.

აზარი თანახმაა, რომ ჩელსი დატოვოს და კარიერა ბარსელონაში გააგრძელოს, მაგრამ ლონდონელები მის ტრანსფერში 200 მილიონ ევროს ითხოვენ, ხოლო ბარსელონა ამ თანხის გადახდას არ აპირებს.

აზარმა რამდენჯერმე თითქმის პირდაპირ განაცხადა, რომ ჩელსის დატოვება სურს.

ივან პერიშიჩმა შესაძლოა ფინალი გამოტოვოს



ხორვატიის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ივან პერიშიჩმა შესაძლოა ფინალური შეხვედრა გამოტოვოს. პერიშიჩმა ინგლისთან მატჩში მცირე ტრავმა მიიღო და მას ჯერჯერობით ვარჯიში არ შეუძლია.

პერიშიჩი ამ ტურნირზე თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა და მისი არყოფნა ხორვატებისთვის უდავოდ დიდი დანაკლისი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ფინალში ხორვატიის ნაკრები საფრანგეთს დაუპირისპირდება. შეხვედრა 15 ივლისს გაიმართება და თბილისის დროით 19.00 საათზე დაიწყება.

ანტონიო კონტე ჩელსიდან გაუშვეს

ანტონიო კონტე ჩელსის მთავარი მწვრთნელი აღარ არის. ეს ინფორმაცია ჩელსის ვებ საიტმა ოფიციალურად დაადასტურა.

კონტემ და ჩელსიმ კონტრაქტი გაწყვიტეს და კომპენსაციის სახით იტალიელ სპეციალისტს სოლიდური თანხა გადაეცემა.

წლევანდელი სეზონის ბოლოს უკვე ნათელი იყო, რომ კონტე ჩელსის დატოვებდა, თუმცა აქამდე ოფიციალურად ის ჩელსის მწვრთნელი იყო.

კონტეს, სავარაუდოდ, მისი თანამემამულე მაურისიო სარი ჩაანაცვლებს, რომელიც უახლოეს დღეებში ლონდონში უნდა ჩავიდეს და ჩელსისთან კონტრაქტს ხელი მოაწეროს.

რეალს ხამესის დაბრუნება სურს

მადრიდის რეალს ხამეს როდრიგესის დაბრუნება სურს, რომელიც 2-წლიანი იჯარით მიუნხენის ბაიერნში იმყოფება. ხამესმა კიდევ ერთი სეზონი უნდა ჩაატაროს ბაიერნში და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს ის რეალში დაბრუნებას, თუმცა მადრიდელებს მისი გამოსყიდვა სურთ, მაგრამ ბაიერნი უარზეა, ამიტომ რეალს მოცდა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ რეალმა კრიშტიანო რონალდო გაყიდა და რეალის ხელმძღვანელობა შეტევის გაძლიერებას ცდილობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხვოხდი ↄ



შვეულად: 1. ბრიტანული ტაქსი; 2. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 3. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 4. ცხენის ერთგვარი სვლა; 5. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 6. ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 8. თევზების შემსწავლელი ზოოლოგიის ნაწილი; 10. ესპანელი მწერალი; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 14. დიდი, კაშკაშა მეტეორი; 15. აფხაზეთსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

თარაზულად: 1. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 4. კინოცენტრი იტალიაში; 7. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 9. სამეჯლისო ცეკვა; 12. წყალი მყარ მდგომარეობაში; 13. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 17. ფირმა „სონის“ დამფუძნებელი; 18. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 19. მუნჯი კინოს დიდი კომიკოსი; 20. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა